



ქვეყნული  
ნაწილი

X 7.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.

X 7.

№ 16

კვირა, 14 აპრილი 1902 წლისა.

№ 16

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., საში თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.  
ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, თუტრის უბან, № 12.  
ტელეფონი № 734.  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

**შინაარსი:** „კვალის“ განცხადება.—რაცამს გესმოდეს ბძ., ი. მორჩილის.—აღდგომა, მისუბრის.—ლექსი, ი. ევდოშვილის (აღდგომის სურათი).—ლექსი, გოგოლაძის.—ერთი ბატკანის ხსამბობი, ი. ევდოშვილის.—„მწანწანა“, მ. გორკის.—კორესპონდენტები.—რუსეთის ცხადება.—საზღვარ კართ.—წერილი ზარიუდან.—ლიბურა.—თავისუფლება ნების თუ აუტ., ი. გამარტელისა.—წერილი რედაქციის მიმართ.

„**კვალის**“ რედაქცია გადავიდა ბარონის ქუჩაზე, სახლი № 27 ბ-ნ მარტირუსოვის შენობაში.

**„რაშამს გამომოდენ ბროლაანი და ამბავანი ბროლათანი, ნუ შე-ჰსძრწუნდებოთ; რამითუ ჯარ არს ესე ყოვალ“\*).**

ამას ეტყობა იესო ნაზარეველი მოწაფეთა თვისთა თვისი შეპყრობის წინა დღეს, ე. ი. დიდ ხუთშაბათს, როდესაც ემზადებოდა ზვარაკით საწამებელი ჯვარისა, მსხვერპლათ გოლგოთისა, საიღამაც სისხლით გაბანილ წმინდა ჯვარს უნდა ემცნო ებრაელთა ერისათვის განთიადი ახალი ჟამისა; „ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და სათნოების დასამკვიდრებლათ“.

ხოლო „ეს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის საარსება“ იქნებოდა მშვიდობის დარღვევა მათთვის რომელნი „შესდგომდენ გზას ურჯულთასა და სჯარძელსა მათსა ზედა დაშვიდრებულ იუვენს“. მშვიდობიანმა იესომ დარღვია მათი მყუდროება, მისი სამართლიანი სიტყვები მუსრავდენ კერძებს და ეს არ იყო სასურველი უპირველესათ „მწიგნობართა და ფარისევლთათვის“, რომელნიც კარგათ გრძობდნენ, თუ რას მოასწავებდა რაბბინის სიტყვები: „არა დაშთეს ქვა ქვასა ზედა, რომელი არა დაიდგეს“ (სახ. მარკ. თ. 12. მუხ. 2.) დიან, არ უნდა დარჩომილიყო „ქვა ქვასა ზედა, რომელნიც ედვენ საძირკვლათ იმ დროის ხალხთა ურწმუნობას, უსამართლობას და გამობას ყოველისა ღვთიურისა კანონისა და მცნებისა.

რალა დარჩენილათ ამისა შემდგომ „მწიგნობართა და ფარისევლთა“, თუ არ იესო ქრისტეს დევნა, ე. ი. დევნა სამართლიანობის ცმისა, ტანჯვა და წამება მისის მიმდევრებისა, ხმის ჩაწყვეტა მათთვის, ვინც შეუდგნენ რა გზასა ეკლისასა არ ზოგადდენ სიცოცხლეს, რათა ქვეყანაზე თამამათ გაეშალა ფრთა სიყვარულს და კაცთა შორის სათნოებას.

მოვლინებული კაცთა შორის ძე ღვთისა იესო ხელად გაბმდინვარებულ მტერთ, რომელნიც ვრტყნენ მას გარე და დღეს თუ ხვალ ვითარცა მეგლთა ბატკანი უნდა განებასრათ იგი. ქნა რა უკანასკნელი სერობა დღესა მას ხუთშაბათსა, და ამცნო რა გამცემელსა თვისსა იუდას მზაკვრობა მისი, ის გაემგზავრა მოწაფეთა თვისითურთ მთასა გეთსიმანიისასა, სადაცა დასტოვა რა დანარჩენი მოწაფენი თვისნი „წარიყვანა ჰეტრე, იაკობ და იოანე მისთანა დაეწყო დასულებათ და ურვად“ (სახ. მარკ. თავ. 14 მუხ. 33) ის ემზადებოდა მომავალისა ტანჯვისა ფილის შესასმელათ, ის ემზადებოდა „მწიგნობართა და ფარისევლთა წინა წასადგომათ და შესთხოვდა მამასა თვისსა“: „ახა მამა! ყოველივე შესძლებელ არს შენ მიერ თანა წარსულათ სსსმელი ესე ჩემგან არამედ არა რა იგი მე შენგავს „და სწორდეთ ამ დროს, როდესაც იესო დადადყოფდა ღვთისა წინაშე, მას გარს შემოერთყა რამდენიმე ჯარის კაცი მოსეული მწიგნობართა და ფარისევლთაგან „სოლო იესომ რქვა მათ: ვითრცა ავაზაკს ზედა გამოხველით თქვენ მისუღითა და ნათებისა შეკურნობათ ჩემდა“ (სახ. მარკ. თავ. 14. მუხ. 48) დიან ის შეიპყრეს, ვითარცა ავაზაკი, ის შეიპყრეს, ვითარცა მტერი ქვეყანისა და ებრაელთა ხალხს უთითებდენ მათზე, როგორც ერთ უუბოროტეს და უსაშინელეს სჯულის მტერზე. „და მიიყვანეს იესო კაიაფასა მღვდელთ-მთავრისსა, და შეკვრეს ყოველნი მღვდელთ-მთავრნი, და შწიგნობარნი, და მახუცებულნი“ (სახ. მარკ. თავ. 14. მუხ. 53).

და განასამართლეს იგი: „სოლო მღვდელთ-მთავრნი იგი და ყოველი კრებული ეძიებდეს იესოსთვის მწყაშეთა, რათა მოკლან იგი, და არა პოვნებდეს“ (სახ. მარკ. თავ. 14. მუხ. 55). მიუხედავად ამისა, რომ „მწიგნობარნი და ფარისევლნი ეძიებდენ იესოსთვის მოწამეთა, რათა მოკლან იგი და ვერა პოვნეს“ ის მაინც უმოწმოთაც და უბრალდებოთაც გაასამართლეს ნებისაებრ თვისისა და მისცეს ჯვარსა საწამებლათ.

და აი დღევანდელ დღეს, ჩვენ ვდღესასწაულობთ მკვდრეთით აღდგომის წამებულნი იესოსი, გამარჯვებას სამართლიანობის ხმისა, დამარცხებას ყოველივე იმისა, რაცა წინააღმდეგობას უწევს იესოსს.

\*) სასარება მარკოს. თავ. 13 მუხ. 7.

საქართველო  
ნაწილი



გია „კაცთა შორის სათნოების და სიყვარულის დამკვიდრებისა“. მაშ მოვილოცავთ, თქვენც, ძმანო ჩემნო, ამ ბრწყინვალე დღესასწაულს, დღე მან ჩაუშვას გულსა შინა თქვენსა შუქი, სიყვარულისა, სამართლიანობისა, სისწორისა, და ზიზღი ყოველივე მისადმი, რაკ კი წინ გადაეღობება მცნებას ძისა ღვთისასა, რომელიც გოლგოთის ჯვარიდან გვეუბნება ჩვენ: „მოკვდინ ჩემთან დამაშვრადნა და ტვირთ მძიმენა და მე განვიყენეთ თქვენ“.

მორჩილი.

**ა ლ ღ ზ ო მ ა .**


ცხრამეტმა საუკუნომ განვლო მას შემდეგ, რაც ურიასტანში სიკვდილით დასჯილ იქნა ერთი უდიდესი მქადაგებელთაგანი, რომელიც კი ოდესმე მოვლენია ქვეყნიერებას. მაგრამ მოკლულ იქნა მხოლოდ მისი სხეული, ე. ი. რაც წარმავალი და ცვალებადია, და არა მისი სული, რომელიც მუდამ ცოცხალ არს და რომელიც გამოიხატება მის სწავლასა და მოძღვრებაში. ხორცის დაზავრამ და სიკვდილმა არა თუ ვერ ავნო მის სწავლას და მოძღვრებას, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა და განამდიერა იგი. და აღსრულდა მანე სიტყვანი იგი მისნი: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკვლათ“. (მათ., X, სტ. 28). სულის ასეთ გამარჯვებას ეწოდების აღდგომა და ამას იგონებს წლითი-წლობამდე კაცობრიობის შეგნებული ნაწილი და მისი მოგონებით ხარობს. იგი, ვისი სხეულიც შეურაცხვეს ხელის შეხებით, ვისაც დაადგეს ეკლის გვირგვინი და დასცინოდენ, ვისი გვამი აწამეს და დაფლეს, იმისი სახელი შარავანდელით შეიმოსა და უთვალავ აღამიანთა გრძობა-გონება მოინადირა.

ქრისტეს დაბადების დროს ურიასტანი რომის პროვინციის შეადგენდა. მას განაგებდა რომიდან გამოგზავნილი პრეფექტი. ხოლო შინაური მართვა-გამგეობა მინდობილი ქონდა ადგილობრივ წარჩინებულ პირთ, ე. ი. სამღვდელოებს და უმაღლეს სამჯავროს, ეგრეთ წოდებულ სინედრიონს. ხალხის ბედ-იღბალი სამღვდელოების ხელში იყო. სამღვდელოება სასტიკათ იკავდა მოსეს სჯულს, თუმცა მას იგი დიდი ხანია აღარ სწამდა. ხალხს ძალას ატანდა, რომ მას ეს ძველი სჯული აესრულებია შეუცვლელათ, რადგანაც ამის საშუალებით სამღვდელოებს ადვილათ შეეძლო ხალხის გაყვლეფა. მაგრამ რამდენათ ეს ფუქე ფორმალისში სისარგებლო იყო მწიგნობართა, მღვდელთმთავართა და ხუცესთათვის, იმდენათ იგი დამღუბველი იყო ხალხისთვის. ამიტომ მწიგნობარნი და მღვდელთმთავარნი მუდამ იმის ზრუნვაში იყვენ, რომ ხალხს ეჭვი არ შეეტანა იმათ საქციელში და მოქმედებაში. ხალხში არსებობდა, რასაკვირველია, ყრუ უკმაყოფილება და იმედი, რომ ოდესმე მას მოველინებოდა მსხნელი, რომელიც დაიცავდა იმათ ასეთი განსაცდელისაგან. ამ დროს გამოჩნდა ახალი მქადაგებელი, რომელიც თავის თავს ძეთ კაცისათ სახავდა და რომელმაც მშინვე მიიპრო უმრავლესობის ყურადღება. ეს იყო იესო, წოდებული ქრისტეთ. იგი დაიბადა ღარიბ ოჯახში და აღიზარდა უბრალო ხალხში, ათასწირ გაქვიერებასა და ვაი-ვაგლახში. ოცდაათი წლის განმავლობაში იგი ახლო უკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას და კიდევაც გაიგო მისი სულის კვეთება. იესომ კარგათ შეიგნო, რომ ძირითადი ბოროტება მომდინარეობდა იქიდან, რომ ძველი სჯულის სიტყვა-სიტყვით ასრულებით მწიგნობართ და მღვდელთმთავართ დაემონავებიათ უბრალო ხალხი. ამიტომ პირველ გამოსვლისთანავე, იესომ აშკარათ და უკანდაუხვევლათ გაილაშქრა ძველი რჯულის წინააღმდეგ. მან თითონ თავის ცოცხალი მაგალითით აშკარათ დაარღვია ძველი სჯულის წესები და იმავე დროს გამოჩენით

მიეკვლა დატაკთა და გაქვიერებულთ. ძველი სჯული უკრძალავდა კაცს ყოველივე საქმეს. იესომ დაგმო ეს წესი და განაცხადა, რომ „ჯერ არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე ყოფათ“ (მათ. XII, 12). და შემდგომ ამისა იგი აღარ უკრძალავდა შაბათს და იქმოდა საქმეთა თვისთა დღე მუდამ. ამით კი ძირიანათ ირღვეოდა ძველი სჯული, და ამასხომ ვერ მოითმენდენ იმის დამცველნი: ფარისეველნი, მწიგნობარნი და მღვდელთმთავარნი. მაგრამ ვერც იესოს სწავლა იქნებოდა ამ ბნელის მოყვარულთათვის სასიამოვნო. „ნეტარ იყვენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქნენ; ნეტარ იყვენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა; ნეტარ იყვენ, რომელთა შიოდეს და წყუროდეს სიმართლისთვის, რამეთუ იგინი განძლენ; ნეტარ იყვენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ; ნეტარ იყვენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა; ნეტარ იყვენთ თქვენ, რაჟამ გყვედრიდენ და გდვენნიდენ; გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ ვგრეთვე სდვენნიდენ წინასწარმეტველთა უწინარეს თქვენსა“ (მათ. V, 4-12).

ქრისტემ მოახდინა ძირითადი ცვლილება მოსეს სჯულისა, შექნა ახალი სარწმუნოება, სარწმუნოება დევნილთა და შეწუხებულთა, უძლურთა და ღარიბთა. წინააღმდეგ ძველი სჯულისა იესო ასწავლიდა: „ვითარცა იგი თქვენ გეცეს, რათა გიყონ კაცთა, თქვენცა ეგრეთვე მსგავსათ უყოფდით მას... ნუ განიკითხავთ, და არა განიკითხნეთ; და ნუ დასჯით, და არა დაისაჯნეთ; მიუტევეთ, და მოგეტყვენ; მითვე საწყაულითა, რომლითა მიუწყოთ, კვლათ მოგეწყოს თქვენ“ (ლუკა, VI, 31, 37-38). ამავე დროს იესო ქადაგებდა ძმობას და თანასწორობას: „ნუ იწოდებით რაბი (მოძღვარი), რამეთუ ერთი არის მოძღვარი თქვენი, ქრისტე; ხოლო თქვენ ყოველნი ძმანი ხართ. უდიდესი იგი თქვენ შორის იყავ მრწემ, და წინამძღვარი იგი ვითარცა მსახური. ვინ არს უზროლი, რომელი—ინახით ზის, ანუ რომელი მსახურებს? ანუ არა რომელი იგი ინახით ზის? ხოლო მე ვარ შორის თქვენსა ვითარცა მსახური“ (ლუკ., XXII, 26, 27). დასამტკიცებლათ ამისა იესომ „მოილო წყალი და შთასხასა საბანელსა მას, დაიწყო ბანა ფერხთა მოწაფეთა თვისთა“ (იოან. XIII, 5): „უკეთუ მე დაგბანენ ფერხნი, მოძღვარმან, და თქვენცა თანაგაძსთ ურთიერთს დაბანათ ფერხთა, რამეთუ სახე მოგცე თქვენ“ (14-15). მაგრამ იესომ უწყოდა, რომ ძმობის და თანასწორობის დაფუძნება არ შეიძლება, სანამ არსებობენ სიმდიდრე და სიღარიბე; მდიდარი არასოდეს არ მოიხრის ქედს ღარიბის წინაშე და არ გაუთანასწორდება მას; იგი არასოდეს არ მოიშლის სიამაყეს, კანდიერებას და სხვის დაზავრას, და ამისათვის იტყოდის იგი: „უადვილეს არს აქლემი განსვლათ ხერგელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესვლათ სასუფეველსა ღვთისასა“ (მათ. XIX, 24). ანუ კიდევ: „ხოლო ვაი თქვენდა, მდიდარნი! რამეთუ მიგიდებინს ნუგეშინის ცემა თქვენი. ვაი თქვენდა, განმადარნი აწ! რამეთუ გშიოდეს; ვაი თქვენდა, რომელნი იცინით აწ! რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდეთ!“ (ლუკ. VI, 24-25). მაგრამ ვისკენაც ქონდა მიქცეული იესოს თავისი მძღავრი სიტყვა, ეს მწიგნობარნი და მღვდელთმთავარნი. „ეკრძალენით მწიგნობართაგან, რომელთა ნებაეს გძელი სიმოსლითა სვლა, და რომელთა უყვართ უბანთა ზედა მოკითხვა, და პირველათ ჯდომა კრებულსა შორის, და შემოჯდომა პურსა ზედა, რომელნი შექამენ სახლებსა ქვრივთასა, და მიზეზით განგძობილათ ილოცვენ. ამათ მოიღონ უმეტესი სასჯელი“ (ლუკ., XX, 46-47). „ვაი თქვენდა, წინამძღვარნი ბრმანო, რომელთა თქვი: ვითარმეთ რომელმან ფუცოს ტაძარსა ამას, არა რაი არს, ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა





კბილები! თურმე ტყუილათ კი არ ბლაოდა საწყალი დედა... აბა ყური დამიგდეთ:

რამდენიმე ხნის სეირნობის შემდეგ ნათლიამ ინება და დამსვა ისევ დედამიწაზე. ოხ, როგორ გაუხარდა დედას, რა ტკბილათ მომიალერსა, როგორ მოკცნიდა, მისვამდა ენას, მე კი საწყალს ვეძგერე ძუძუებში და დაუწყე ჯაჯგური. თქვენა გგონიათ, დამიშალა დედა ჩემმა? სრულებითაც არა; ის გაღიბოტა, მომაწოდა ძუძუები, და მიყურებდა ისე ტკბილათ, ისე, გულჩვილათ, რომ სიხარულით ცრემლები მომადგა თვალეზზე. ეხ, დედავ, დედავ, რა იცოდი, რომ ის რძე, რომელსაც შე შენ მძღვედო, ბოლოს ნაღველათ ამომენტხეოდა! არა, რათ მინდოდა, რომ მძღვედი სიცოცხლეს, ჩემთვის კი არა სხვისთვის!

ჰო, მე ვწოვდი ძუძუს და ნათლია კი ჯოხზე დაყუდებული გვიყურებდა მე და დედა ჩემს სიამოვნებით.

არა! არა! შურდა მას ჩემი ბედნიერება!

როგორც იყო, გამოვძებ, გამოუძვერ დედას ფეხებიდან და ჩემდა უნებურათ რაღაცა მწვანესა და რბილს წავაგაღე ცხვირი, მიუს-მოუსვი აქეთ იქით ტუჩები, გაგინჯე; ავლოკე და შევდექ... „ოჰო, შეილო, ოჰოვო...“ დამიქნია დედამ თავი და მოავლო პირი რაღაც მწვანეს. მეც იმასავით გავაღე ყბა... ენახე გემოთი, დავატკბანურე პირი ისე, როგორც დედა ჩემმა, და მესიამოვნა. თურმე ეს ბალახი იყო, გაზაფხულის რბილი, ნახე, რძიანი ბალახი! მასწავლა დედა ჩემმა როგორ მოვაელო პირი, როგორ ავწიწვნო და ჩავიტკბარუნო.

ახ, რა კარგი იყო ის დრო...

გარშემო ყველაფერი ისეთივე იყო, როგორც ბალახი, იმასავით მწვანე, იმასავით ნაზათ მღელვარი, ბუჩქი, ხე ყვავილი... აქა-იქ აქრულეული მინდორი, ვიღაცები დასტრიალებდნენ მას თავზე, ხან აქ შემოჯდებოდნენ, ხან იქ, ხან მღეროდნენ, ხან კი მისრიალებდნენ, მიპქროდნენ საითლაც. დედაჩემმა ესეც გამაგებინა; მითხრა, რომ ესენი ჩიტუნები არიანო, თურმე მათაც ყოლიათ შეიღები, თურმე ისინიც დახაროდნენ მათ, მიქნადათ მათთვის საკვები, ეალერსებოდნენ, ესიყვარულებოდნენ;

მაგრამ ეს, ისენიც რომ ჩემებრივ უბედურნი ყოფილან?!

ერთი პეველა ზეთ ზურგზე შემაჯდა. დედაჩემს გაეცინა, გამიხარდა მეც. მართლაც და სასიამოვნო იყო. ის თავის თეთრს ლურჯი წინწკლებით დაფერადებულ ფრთებს ისე გრძნობით არხვედა, ისეთის ნეტარებით აცმაცუნებდა ჩემს კისერზე ტუჩებს, რომ მეც გულმა ძვერა დამიწყო.

„იცი, შეილო, ეგ შენი გულის ამხანაგიაო“, მითხრა დედამ და მეც გამიხარდა. გამიხარდა მიტომ, რომ მართალია დედა ძან მიყვარდა, მაგრამ მას, რომ შევხვდი, სულ სხვა ნეტარება ვიგრძენ.

ახ, ჩემო, ჩემო, პეველავ, რატომ არ შეგვეძლო ჩვენც იმ სიყვარულის ფილაში ჩაგვეწურნა ჩვენი სიცოცხლე?!

ჰო, ესტკებოდით მე და დედაჩემი... და ჩემი ნათლია კი დაქვცქეროდა ჩომბახზე დაყუდებული. იცით!? მასაც უხაროდა ჩვენი ბედნიერება, ჩემი გულუბრიყვობა!

რათა და რისთვის, ეს ხო მე მაშინ არ ვიცოდი. მე მეგონა ისიც ჩიტია მეთქი, მხოლოდ ჩიტი, და რა იმისი ბრალია, რომ თავისმა დედამ იდი ჩომბახი მისცა ხელში და მეტის შეტათ თავმოყვარე ტანი, რომელიც სხვისი კანის ქუჩით შეემოსნა და გაეთბო.

ახ, როგორ ესტყუვდებოდი მე მაშინ! რას ვიფიქრებდი, რომ დედაჩემი თუმცა დიდი, მაგრამ ასეთი გამოუცდელი იქნებოდა!

მაინცა და მაინც მე მაშინ ბედნიერი ვიყავ. დედის ძუძუებთან ალერსი, ბალახებზე გორაობა, ჩიტების ყრიაშული,

ჩემი პეველას ქათქათი ჩემსავე კისერზე, სიხარულის ნავარდი, რაღა მინდოდა მეტი... მაგრამ მე თუ არა, თურმე სხვასაც სდომებია მეტი. და ამ მეტის მოქვარე კი იგივე ჩემი ჩომბახი ხიანი ნათლია გამოდგა.

არა, ის ტყუილათ არ მიყურებდა ისეთი სიყვარულის თვალებით, ტყუილათ არა ელავედნ მისი კბილები.

თურმე იმ დროს როდესაც მე დედაჩემს შევხაროდი ის უკვე მიყრიდა თავის ეშვებს გულ-ღვიძლში!

გაიარა დრომ, მე თანდითან ვიზრდებოდი, მხარბეჭი მესულებოდა, მიფართოვდებოდა, მატყლი საყვარლათ მიხუჭუჭდებოდა, მემატებოდა ძაღლონე და უფრო და უფრო მიყვარდებოდა არე მარე, ტყე, ბორცვი, მთას ქედები, ღელეები, ერთი სიტყვით სადაც კი შემეძლო რომ გამეკუნტრუშა, გავნავარდებულდიყავ!

მაგრამ ოხ, რაფერ მოეცყუვდი!

თურმე ის, რასაც მე წინეთ ვხედავდი, რასაც ასე გულში ვიხუტებდი სამუდამო სანეტარებლად, სიზმარი ყოფილა!

ოხ, ჩემო, ჩემო ტკბილო სიზმარო, რა მწარე გამოსდექ! რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემს სიზმარსაც და მეც უპირველესათ ხელი შეგვახო ისევ და ისევ ჩემმა ნათლიამ. მხოლოდ ეხლა ტყავის კალთაში კი აღარ გამხვია, როგორც წინეთ, არა მომიარა გარშემო ამათვალ-ჩამათვალღერა, დაიტკბანურა ტუჩები, მომხვია რაღაც ჯოხი, რომელსაც თურმე ნათლიები კავს ეძახიან და მიტყუა თავი ჩემი საყვარელი მინდვირიდან შარა გზისაკენ.

შარა გზისაკენ, დიახ, შარა გზისაკენ!

ბეე... ბეე... მომჩხაოდა უბედური დედა.

„ტილო ხამი ხარ თუ?“ შეუყვირა ნათლიამ.

თურმე ჩემზე წინეთ სხვებიც გამოვსაღმებინათ ჩემს დედამისთვის და გავუყენებათ ამავე გზით.

მე სწორე მოვახსენოთ, ვერ ვიცან ჩემი დაძმანის ნაჩლიქარი, მაგრამ იმას კი კარგათ ვგრძნობდი, რომ რაღაც უბედურება ტრიალებდა ჩემ თავზე.

ახ, ღმერთო, ღმერთო, რა ვიცოდი საით მიყვანდი მე!

დიახ, შარა გზისაკენ! მეტი რა ილაჯი იყო, უნდა დავმორჩილებოდი ჩომბახს და მეც გავუდექ იმ შარას, საითკენაც მიკრეს თავი, ხოლო ეს თავი, რასაკვირველია, ფეხებს უნდა წაველოთ და ფეხებიც, მეტი რა ძალა იყო, რომ ჩომბახს არ დამორჩილებოდნენ!

მიედივარ, მიედივარ შარაზე!... ვიყურები წინ. უკან კი ჩომბახი მომდევს, რომ აღარ დავინახო აღარც დედა, აღარც ჩემი საყვარელი ველ-მინდორი, აღარც ჩიტები და აღარც ჩემი... ჩემი პეველა! მიედივარ და ვფიქრობ: რა უნდა მეცხვარეს, რათა და რისთვის, რისთვის მომგლიჯა ან დედის მკერდს, ან ჩემს სამშობლო მთაველს მეთქი?

ფიქრი, ფიქრი და ფიქრი... იმ დრომდე, ვიდრე ჩემმა შარამ არ ამიხილა თვალები და არ დამანახვა ედემო! დიახ ედემო!

არა, რა სულელი და გამოუცდელი ვიყავ ჰა?! მიეტროდი უკან, და უცებ კი სიხარულის სხივი წინიდან გამომიჩნდა!

მე, მართალია, დავილაღე ამ შარაზე, მაგრამ სამაგიეროთ მივწურე თუ არა მისი უკანასკნელი წვერი დავინახე უცებ ჩემ წინ ტურფათ გადაშლილი თაიგული.

არა, ეს თაიგული არა გვანდა ჩემს წინანდელს ნეტარების კონას!

ის სულ სხვა იყო, სხვა სახისა და სხვა გარეგნობისა: ჩემს წინ გადაიშალა სხვა სურათი. აბა მე რა ვიცოდი? შენი ჰირიმე, რომ არის ქვეყანა, რომელსაც არ ვაგს ამ ქვე

თურმე სხვასაც სდომებია მეტი. და ამ მეტის მოქვარე კი იგივე ჩემი ჩომბახი ხიანი ნათლია გამოდგა.





აბა დავიწყოთ, დავიწყოთ თქვენდა... მოგიყვები მამიდან. მამა ჩემი იყო მკაცრი კაცი და კეთილ-სათნოიანი, მიახწია სამოც წლამდე, დაინახურა სრული პენსია და გადავიდა საცხოვრებლათ ერთ უხვირო სამაზრო ქალაქში, სადაც იყიდა სახლი. დედა ჩემი კეთილი გულის და მასთან ფიცხი ბუნების პატრონი იყო... ასე, რომ შესაძლებელია, მამაჩემი არც კი იყო ნამდვილი ჩემი მამა. მას მე არ ვუყვარდა, უბრალო რამეზე მსჯიდა, მაყენებდა კუთხეში, მაჩოქებდა, ან არა და მცემდა თასმით. დედას კი მე ძაან ვუყვარდი. ყოველ ბარათის წაღებისთვის მის მეგობართან— და მას კი მეგობარი გულისა ყოველთვის ყავდა—ის მე მაძლევდა საჩუქარს, ხოლო ჩემ სიჩუმეს და სიწყნარეს კიდევ ზედ მეტი ჯილდო ეძლეოდა. როდესაც მამა ჩემი წავიდა, მე დავრჩი გიმნაზიის მეექვსე კლასში, მიზეზი ამისა ის გახლდათ, რომ ამერია ფიზიკის გაკვეთილის მასწავლებელი... ე. ი. იმის მაგიერ რომ მეველო მასწავლებლის გაკვეთილზე, მე დავდიოდი განსასწავლათ ინსპექტორის მოსამსახურე გოგოსთან. ინსპექტორი გამიწყრა ამზე და გამგზავნა მამასთან. მიველი მამილოსთან და ვუამბე, რომ რაღაც გამოურკვეველი მიზეზებისა გამო, ინსპექტორმა მე დამითხოვა მეცნიერების ტაძრიდან. ამის შესახებ ინსპექტორს წერილით უკვე ეცნობებინა მამიჩემისთვის, მაგრამ ენმარა კეთილ-გონიერება და არ დაეძრა კონტი ჩემსა და მის გოგოს პაემანზე, სადაც მოგვასწრო ინსპექტორმა, რომელიც იმავე გოგოს ოთახში შემოვიდა ღამის ხალათში და თან ფურჩულებდა: „ჩემო დუნეჩკაო“. ეს, რასაკვირველია მისი საქმე იყო. მამამ ბევრი მლანძღა, მაგრამ არც დედას დაუელია. გული რომ მოიჯერეს ლანძღვით, გადაწყვიტეს გამგზავნონ პსკოვში, სადაც ცხოვრობდა მამიჩემის ძმა. გადამსახლეს პსკოვში; ბიძა ჩემი ძლიერ გულღვარძლიანი და მასთან სულელი კაცი იყო, მაგრამ, სამაგიეროთ, დობილები კი მის სახლში ძლიერ კარგები აღმოჩნდნენ, ასე რომ ცხოვრება შეიძლებოდა. მიუხედავათ ამისა, ვერც აქ მოვიკიდე ფეხი. სამი თვის შემდეგ ბიძა ჩემსავე პანდურით გაუისტუმრა მამიჩემისაკენ ბრალდებით, რომ მე ჩემი გარყვნილი ხასიათით ცუდ გავლენას ვახდენდი მის ქალებზე.

მე კიდევ გამლანძღეს და ხელმეორეთ გადამსახლეს ახლა მამიდასთან რიზანის გუბერნიის ერთ სოფელში. ჩემი მამიდა მხიარული და კაი ქალი აღმოჩნდა, მასთან ხშირათ იკრიბებოდა ახალგაზღვრება. მაგრამ იმ დროს ყველა რაღაც ახალ-მოდის სატივრით იყვენ შეპყრობილნი—კითხულობდნენ აკრძალულ წიგნებს. ბაც! და გამაბეს მანში, ჩამამწყვდიეს ოთხ-კედელშუა, სადაც დაყავ ასე ოთხ თვემდე. დედა ჩემმა მომწყვრა, რომ მე ის მოგკალი ჩემი ამგვარი საქციელით, მამა ჩემმა შემატყობინა, რომ მე ის შევარცხინე... ძაან ძაან, თავმოასაწყენი მშობლები მყავდნენ.

იცით, კაცს რომ შეეძლოს თვით ამოირჩიოს ხოლმე თავისთვის დედ-მამა, ეს უკეთესი იქნებოდა.—მართალია, არა? მე გამომიშვეს ციხიდან და წაველ ჩემ დასთან ნიჟნი-ნოვგოროდში, სადაც ჩემი და იყო გათხოვილი. დას დიდი ოჯახი აწვა თავზე და ამა მიზეზის გამო ძაან ანხლი გამოდგა. რა მექნა? საბედნიეროთ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობამ მიშველა, შეველი მგალობელთა დასში. ხმა კარგი მქონდა, შეხედულება ლაზათიანი და ვმღეროდი... თქვენ გგონიათ მე ვლოთობდი? არა, მე ეხლაც კი იშვიათათ ვსვამ არაყს და ისიც როგორც გამათობებელ საშუალებას. მე ლოთი არა დროს არ ვიყავი...

ყანას, სადაც მე გავიზარდე? ღმერთო, ღმერთო, რამდენი ახალი რამე ვნახე მე აქ! მდელოს მაკიერ, რაღაცნაირათ ერთმანეთზე შეწყობილი გორაკები (აი, ისე, როგორც ნათლია ჩემი შეაწყობდა ხოლმე ჯამებს თაროში, როდესაც დედაჩემს გამოსწველიდა ძუძუს და გამოძღებოდა) სულ სხვა ფრინველები და სხვა გალობა, ვიდრე მე წინეთ მესმოდა.

ეს, ბრმა ცყოფილვარ თურმე წინეთ, ბრმა! ავახილე კიდევ თვალები და ვნახე ისეთი ვიწრო დღელები; რომ ჩემმა ნათლია მწყემსმა თითქმის მუჯღუგუნით გამატარა შიგ. ბრჭყინავენ აქეთ-იქიდან... ზოგი ვარსკვლავსა გვანდა, ზოგი ბნელ მთვარეს. გალობის მაკიერ ისეთი რახუნი მომესმა, რომ ყურებში ფეხები დავიცე, და ჩემი პეპელის მაკიერ ზურგზე წამომაჯდა იციოთ ვინ? ვინ და ჩემივე ნათლია, ჩემივე მწყემსი!

ახა, ღმერთო ჩემო, ვფიქრობ მე: ნუ თუ ამისთვის მარონიეს ამოტელა შარა, რომ ეს რაღაც ახალი სერიი ეჩვენებინათ მეტი ჩემთვის?

პასუხი ისევე ჩომბახმა მომცა და მეც ეხლა უფრო გავაქყიტე თვალები...

თურმე ჩემ ბატონ-პატრონს სულ სხვა საძოვარზე წამოვეყვანე.

— აჟუს! რა ბატონია ჩაილაპარაკა ერთმა ჩუმათ, როდესაც მე უკვე შეველ იმ მეჯლისში, სადაც ბატონმა მიტყუა თავი.

— ვა, ე, ე! შენ დუმა უნახე და! მაუგო მეორემ და გადმოხედა მეელივით.

— იცი რა იქნება ეგ მოხრაკული?!

ჩაერია მესამე ლაპარაკში, აღდგომის მაღლსა ფეიცავ რომ ამ ქალაქში მაგისთანა ბატონი ორი და სამი არ იქნება!

ეხლა კი გავიგე, რომ თურმე მე ქალაქში ცყოფილვარ, უფრო კარგათ მივხდი, მივიხედ-მოვიხედე, ავათვალ-ჩავათვალ-ვრე და გავიგე, რაშია იყო საქმე.

არა, როგორ არ გავიგებდი! რაც უნდა გამოუცდელი ბატონი იყოს ყველა მიხედება რა ამხედია მის თავს!

ეს, დედავ, დედავ, ტყვილათ კი არ ღვრდი ცრემლებს, როდესაც მე ჩომბახმა აქეთ გამომიგდო!

რა ვიცოდი მე, რომ ჩემი მწყემსი საწვადეთ გამყიდდა, რა ვიცოდი მე, რომ მის ქურქს ჩემი და ძმ ს ტყავებიდან შეკერილს ჩემივე ტყავიც მიემატებოდა, რომ უფრო რბილათ, უფრო ნებიერთა დაყუდებოდა ის სამწყსო ჩომბახს!

ოხ, დაივოს, და დაიღუპოს, ის ჩემი იმედება! რისთვის, რათა, რათ გადამექცა შხამათ მე დედის ძუძუებზე? განა მე ისეთივე არ ვიყავ როგორც მინდვრის ყვავილი, რომელიც იფურჩქნება, ყვავდება, ხარობს, ლალობს. მე რაღა დავაშავე, მე ბატონმა?!

იცით რათ ვლაპარაკობ ასე მწარეთ? რათა და იმიტომ, რომ მე ეხლა თქვენ წინ კიძევართ. დიახ, ჩამმა ნათლიამ იმისთვის, რომ თავის სუფრისთვის მარილი მოეყარა, მე ერთ ქვა მარილზე გამცვალა! გამყიდა! მომგლიჯა დედებს, მომგლიჯა მის ძუძუებს, ჩემს საყვარელ მთა-ველს, კორდ-ბორცვებს და ჩემს სატრუო პეპელს.

ახ, პეპელავ, იქნება შენ მაინც მომიგონო მე?!

მე ეხლა ქურაში შემწვარი წარმოვდექი თქვენ წინაშე, რომ დავატებო თქვენი კუჭი, თქვენი თავ-შეუკავებელი გრძობა ჭამისა და მაძრობისა.

მაშ, მკამეთ მე, მკამეთ და ერთსა და იმავე დროს კი დაკარით წითელი კვერცხი...





თუმცა კი უნდა გითხრათ, რომ ხანდისხან დავითგებოდი ხოლმე, როდესაც შეხვდებოდა კარგი ღვინო აი, მაგალითათ, როგორც შამპანიურია. შეხვდებოდა მარსალა არც იმას დავაკლებდი, ვინაიდან მიყვარდა ის, როგორც ქალები... ქალები მე გაგიჟებით მიყვარს... მაგრამ შეიძლება მეზინღებიანი კიდევ... იმისთვის რომ გამოგსტყუებ თუ არა იმას, რაც მინდა, მე აღმძვრება ხოლმე რაღაც საშინელი სურვილი, სურვილი მათის შეურაცხყოფისა, ისეთი შეურაცხყოფისა, რომ ისენი ტკივილსა და დამცირებას კი არა გრძნობდნენ, არამედ რაღაც შხამს გულში ჩაწვეთებულს, რომელიც არ განშორდებოდა სიკვდილამდე. ასეა, თუმცა არ კი ვიცი, რისთვის ვარ მე ასე მათზე გაბრაზებული. ისენი ყოველთვის კარგათ მეპყრობდნენ, რადგან მე ლამაზი და გამბედავი ვიყავ. მაგრამ რა მატყუარა-ნი არიან! ეშმაკმა წაიღოს მათი თავი! მიყვარს მე როდესაც ისენი კენესავენ და ტირიან, უყურებ, უგდებ ყურს და ფიქრობ — ვჰყ, ისჯება ქურდი ღირსეულათ.

ჰო, ასე, ვმღეროდი მე დასში და ვცხოვრობდი მხიარულათ. ერთხელ მოვიდა ჩემთან წვერ-ულვამ გაპარსული კაცი და მითხრა: „სცენაზე არ გიცდიათ თამაშობა?“ ვთამაშობდი შინაურ წარმოდგენებზე... „ვოდველის როლებში, ოცდახუთი მანეთი თვეში გნებავთ?“ დავთანხმდი და გაუდექით პერმისაკენ. ვთამაშობ სცენაზე, ვმღერი დივერტისმენტებში — გარეგნობა ეშხიანი შეფგვრისა, წარსული პოლიტიკურ დამნაშაფისა: ქალები აღტაცებაში მოდიოდნენ. მომცეს მეორე „ლიუბოვნიკების“ როლები, ვთამაშობ. სცადეთ გმირების როლიო მითხრეს, ვცადე „მკრთალ ცეცხლებში“ მაქსის როლი, და მე თითონ ვიგრძენ, რომ კარგათ გამოვ-და! ვითამაშე მთელი სეზონი, ზაფხულისთვის შევადგინეთ მოგზაური დასი, ვითამაშეთ ვიატკაში, უფაში და ქალაქ ელაბუგშიაც კი. ზამთრისთვის ისევ ვიატკაში დავბრუნდი.

აი, სწორეთ ამ ზამთარში მე რაღაც ზიზღი აღმძვრდა აღმინისადმი. გამოხვალ სცენაზე და ასობით სულელთა და საზიზღართა თვალები ჩაგიყრიათ ისარს, ტანში შიშის ჟრუანტელი გივლის, გწკმენტავს, თითქოს ჭიანჭველების ბუდეში ზიზღო. ისენი გიყურებენ შენ, როგორც თავის სათამაშოს, როგორც ნივთს, რომელიც იყიდეს ერთი ღამისთვის თავის გასართობათ. მათ ხელშია შენი მოწონებაც და დაწუნებაც. ისენი გიყურებენ, გადევნებენ თვალყურს, რამდენათაც კარგათ დაიჭყანები მათ წინ. და თუ მოეწონათ შენი პრანჰვა-გრეხა, მაშინ გიკრავენ ტაშს და ყვირიან, ყვირიან როგორც ბოძზე მიბმული ვირები, შენ კი უგდებ ყურს და კმაყოფილებას გრძნობ მათი ქებით... მერე მოგაგონდება ყველა ეს და გინდა, რომ შიგ სახეში ითხლიშო სილაქები.

მე ისე მეჯავრებოდა ის საზოგადოება, რომ კანკალი მომდიოდა ბრაზებისაგან, მინდოდა სცენიდან მიმეფურთხებია მათთვის, გამელანძლა უშვერი სიტყვებით. ხანდისხან, ვგრძნობდი, მათი თვალები თითქოს ნემსებივით მეზნეოდნენ ტანში, ისენი ელოდნენ, რომ აგექავლებია მათი გრძნობა, აიროგორც ის მებატონე ქალი, რომელსაც მოსამსახურე ქალები ღამღამე ფეხის ქუსლებს ფხანდენ. გრძნობ ამასა და ფიქრობ, რა კარგი იქნებოდა მეჭიროს ხელში ერთი ისეთი გძელი დანა, რომ პირველი რიგის მსმენელთათვის ცხვირები დამეჭრა ერთბაშათ... ეშმაკმა წაიღოს მათი თავ-ტანი!

მაგრამ, მე მგონი მეტის მეტი გრძნობითა ვლაპარაკობ! ჰო, ასე, ვთამაშობ, მაგრამ მეჯავრება კი საზოგადოება და მინდა გავიქცე მოვშორდე მას.

ამაში მე დამეხმარა პროკურორის ცოლი. მე ის არ მომეწონა და მას კიდევ ეს არ მოწონდა, ე. ი. მისი დაწუნება. აამოდრავა თავისი ქმარი და მე გავჩდი ქალაქ სარანსკში — თითქოს ფოთოლი მოიტაცა ქარმა მდინარე კამის ნაპირიდანო.

ეს, ამ საფლათ თითქოს ყოველივე სიზმარია! ვზივარ ქალაქ სარანსკში და ჩემთან ერთათ ვარს, გრუნდი ახალგაზნდა პერმელი ვაჭრის ცოლი. ის გამბედავი და მამაცი იყო და ძაან მოწონდა ჩემი ხელობა. ჩვენ ერთათ განვისვენებდით. ფული არ გვქონდა, არ გვყავდა ნაცნობებიც. მე მოვიწყინე, მოიწყინა იმანაც. ამ მოწყენილობის გამო ამიხიბდა, რომ მე ის არ მიყვარს. ჯერ მე ვითმენდი ამას, შემდეგ კი მომეზნებდა. და მე უთხარი მას — დამეკარგე, მომწყდი თავიდან მეთქი! მაშ ესეო? მეუბნება ის. წამოავლო ლევორველს ხელი — ბაც! და შიგ მარცხენა მხარში კი ჩამისვა ტყვია. ცოტა ქვევით რომ მომხვედროდა, მე ახლა სამოთხეში ვიქნებოდი. მე რასაკვირველია წავიქე. იმას შეეშინდა და შიშისაგან ქაში ისკუბა.

ის იქ იმ საიქიოსაკენ გამეზნავრა. მე წამიღეს საავათყოფოში. ჩემთან ქალებმა დაიწყეს სიარული. ოღონდ კი სიყვარულის ამბები გაიგონ რამ, და მათ ხომ სხვა არა უნდათ რა. მოდიოდნენ ჩემთან, ვიდრე მე ფეხზე არ დაედექ და მერე შემიყვანეს პოლიციაში სეკრეტრათ. მერე რაა, განა არა ჯობია ისევ პოლიციაში იყო მოსამსახურეთ, ვიდრე პოლიციის მხედველობის ქვეშ. მეც ვცხოვრობდი იქ ერთი... ორი თვე...

აი სწორეთ ამ დროს, პირველათ ჩემ სიცოცხლეში ვიგრძენ მე რაღაც დარდი, სულისა და გულის მიხველტავი. ეს ერთი აუტანელ მდგომარეობათაგანია ყოველი კაცისთვის. რაც კი შენ გარშემო არის ყველაფერი გეზიზღება, გინდა რაღაც ახალი... ეხლები აქეთ-იქით, ეძებ, ეძებ, იპოვი რაღაცას, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ხედავ, რომ ეს ის არ არის, რაც გინდოდა... თავს რაღაც დატყვევებულათ გრძნობ, შინაგან რაღაც გაბამს, გრძნობ, რომ არ შეგიძლიან მოუტრიდენ მშვიდობიანათ შენ თავს და ეს მშვიდობა კი საჭიროა ყოველი კაცისთვის... ოხ, საძაგელი მდგომარეობაა!

ამ მდგომარეობამ იქამდე მიმიყვანა, რომ ცოლი შევირთე. ამ გვარსაქციელს ჩემისთანა ხასიათის კაცი ან დარდით, ან სიმთვრალით ჩაიდნეს.

ჩემი ცოლი ღვდლის ქალი იყო, მამა გადაეცვალა, ცხოვრობდა დედასთან და სრული თავისუფალი იყო. ქონდა საკუთარი სახლი, ქონდა ფულიც. ის ლამაზი და მხიარული ქალი იყო, მაგრამ ძრიელ უყვარდა წიგნების კითხვა და ეს ცუდათ მოქმედობდა როგორც იმაზე, ისე ჩემზე. წიგნებიდან ამოჩხრეკდა რაღაც კანონებს ცხოვრებისას და მაშინვე მოიბრუნდა ჩემთან, ხოლო მე დლიდან ჩემის ყმაწვილობისა მეჯავრებოდა ეს კანონები. პირველათ მე ვიცინოდი მაზე, მერე კი მეზიზღებოდა მისი ყურის გდება. ვხედავდი, რომ ის ყოველთვის იწონებდა თავს ამ მწიგნობრივი სისულელით... და ქალს ხომ ისე უზნდება წიგნიდან ამოკითხული რამ, როგორც ლაქიას ბატონის ტანისამოსი. ჩვენ ერთმანეთს ვეჩხუბებოდით... გაცივანი მე ერთი ღვდელი, რომელიც ძაან კარგათ უკრავდა გიტარაზე და მასთან ტრეპაკასაც კარგათ თამაშობდა. მე მხიარულათ ვატარებდი მასთან დროს, ის ერთათ ერთი კაცი იყო მთელ ქალაქში ჩემი მოსაწონი. ცოლი მლანძღავდა ამისთვის, მას სურდა მოვშორებოდი ღვდელს და დავახლოვებოდი მის მწიგნობართა და ფარისეველთა კომპანიას. საღამოობით მასთან დადიოდნენ ქალაქის ყველა სურიოზული და ჩინებული პირები, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე... ხოლო ჩემთვის კი ისენი სახრზობელაზე საზიზღარნი იყვნენ. მეც მიყვარდა იმ დროს წიგნების კითხვა, მაგრამ რასაც ვკითხულობდი, იმაზე ფიქრით არ ავიტკივებდი არა დროს თავს, და არც მესმის ან რა საჭიროა ეს — ისენი კი ჩემი ცოლითურთ, როდესაც წაიკითხავდნენ რასმე, ისე გაცოფდებოდნენ თითქოს ტანში ჩანგლები ჩაუყარესო. მე რომ მკითხვოთ კი ასეა:



— წიგნია? კარგი! თუ საინტერესოა, უფრო კარგი! ყოველი წიგნი კაცისაგან არის დაწერილი, მაგრამ ის თავის ყურებზე ზევით მაინც ვერ ახტება. წიგნები ყველა ერთი აზრით იწერება, ყველას უნდათ დამტკიცონ, რომ კარგი—კარგია და ცუდი კი—ცუდი. შედეგი ერთი და იგივეა, თუ გინდასი წაიკითხე; თუ გინდა ერთი. ჩემი ცოლი ათობით კითხულობდა, ასე რომ მე პირდაპირ ვეუბნებოდი მას, რომ უკეთესი იქნებოდა ჩემთვის რომ ცოლათ ის კი არა, ღვედელი შეგერთო. დარდს ღვედელი მიქაერებდა, ის რო არა ყოფილიყო, ცოლს ღვედელი ხანია გავექცეოდა. რამ წამს ფარისევლები შეკრიბებოდნენ ჩემ ცოლთან, მე მაშინვე ღვედელთან გავბოდი. გულის გასართობათ ღვედელს ეკლესიაშიაც ვეხმარებოდი, ხან სამოციქულოს ვკითხულობდი, ხან ვგალობდი: „სიყრმისაგან ჩემისა ვნებანი მრავალნი აღვლევებენ გულსა ჩემსა“

მე ბევრი რამ ავიტანე ამ სოფლათ და ექვი არ არის გამართლებული ვიქნები იმ სოფლათ სამჯავროსა წინაშე. ერთ ღვეს მოვიდა ჩემს ღვედელთან მისი ძმისწული, ის მოვიდა ჯერ ერთი მიტომ, რომ ღვედელი უცოლო იყო და მეორეც იმისთვის, რომ ღვედელი ღორებმა შექამეს. ე. ი. სულ კი არ შექამეს, არა, ის მხოლოდ დაამახინჯეს. მთვრალი წაქცეულიყო, ეზოში დასძინებოდა, ამით ესარგებლათ ღორებს და მოექვამათ მისთვის ცხვირი, ყური და კისერი... ხომ მოგეხსენებათ, ღორები ყოველ უწმიდურებას გაახლებიან. ამ ხიფათის გამო ღვედელი ავთ გახდა, მოიწვია თვის მოსაღვლეათ ძმისწული და მე კი ძმისწულის ყურის საგდებათ. ჩვენ გულთ მოვეკიდენით საქმეს და კარგათაც მიგვყავდა. გაიგო ეს ჩემმა ცოლმა, გაიგო და, რასაკვირველია, ილანძვებოდა. რა უნდა მექნა მე? მეც ლანძვუა დავიწყე. ცოლი გაწიწმატდა: დაიკარგე ჩემი სახლიდან! მითხრა მან. მე ვიფიქრე, ვიფიქრე და მშვიდობიანათ გამოვეშორდი მის ქერს. ასე და ამ გვართ გავწყვიტე ჯაჭვი ჩემის გვირგვინოსნობისა... თუ ეხლა ჩემი ცოლი ცოცხალია, უთუოთ ის მე მშვიდობით გადაცვალვებულათა მთვლის. მე არა დროს არ მომდომებია მისი ნახვა, და მკონია, რომ იმასაც დავაფიწყდი და ცხოვრობს თავისთვის შვიდობიანათ! ვინაიდან ძან მომაბეზრა მან თავი...

ასე და ამგვართ, ხელ ახლა თავისუფალმა კაცმა ამოვეყავ თავი ქ. პენზაში. შევიხედე პოლიციაში—არ არის ადგილი, აქეთ, იქით—არ არის ადგილი და არ არის. მერე შევედი მედავითნეთ... შეველ, ვკითხულობ და ვგალობ. ეკლესიაშიაც, რასაკვირველია, ხალხი იყო, მალე კვლავ აღმძვრა მისდამი ზიზი. ჯამაგირი სულ ცოტა მაქვს, მდგომარეობა დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ცუდათ იყო ჩემი საქმე, რომ ერთ ვაჭრის ცოლს არ გამოვეხსენ. ეს ვაჭრის ცოლი ტანათ სქელი და ღვთისმსასოებელი ქალი იყო, მაგრამ მოწყენით ატარებდა თავის ცხოვრებას. მან მე შემეყვარა სულიერი ქადგებათათვის, მეც დავდიოდი მასთან, ის კარგათ მკვებავდა. მისი ქმარი გიჟების საავათყოფოში ბძანდებოდა, და ის მარტო განაგებდა დიდ სავაჭრო საქმეს. მე წელნელა შევეხმატკბილე მას. და ბოლოს განუცხადე: ძნელია მეთქი, ძნელი, სეკლეთეია კირილოვნა, თქვენი მდგომარეობა! ძნელია! მეუბნება ისიც. ამიყვანეთ მე თქვენ თანაშემწეთ! მომატყუებთო, მიპასუხა, მაგრამ მაინც კი ამიყვანა. მოგეცა ღვთის წყალობა, მე ცხოვრება დავიწყე! მაგრამ ქალაქი კი საძაგელი რამ გამოდგა. არც თეატრი იყო, არც ერთი ხეირიანი სასტუმრო და არც რიგინი ხალხი... რასაკვირველია, მე მოვიწყინე. მოვიწყინე და მიეწერე ბიძიას წერილი, ასე და ასე მეთქი, პეტერბურგიდან ხუთი წლის განშორების შემდეგ მე ძრიელ დავქვიანდი, ვთხოვე პატივება, აღუთქვი, რომ აღარაფერს მისთანას აღარ ჩავიდნენ და სხვათა შორის შევეკითხე: არ შეიძლება, რომ მე როგორმე პეტერბურგში ვიცხოვრო მეთქი?

შეიძლება, მაგრამ სიფთხილით კი... მე გავშორდირ ვაჭრის ცოლს.

ქართული  
დასაქმებული

ის მსუქანი, სულელი და ულამაზო მე მყავდა საყვარლებათ ლამაზი ქალები, ხაზი და ქვიანი, მე მათ ყოველთვის დავიდარაბით გავშორდებოდი ხოლმე. ან მე მათ ზიზითა და ბრაზიანათ გავაგდებდი ჩემგან, ან არა და ისენი მიზამდნენ რამე სისაძაგლეს; მაგრამ ამ სეკლეთეიამ კი სწორეთ ჩემი პატივისცემა დაიმსახურა, დაიმსახურა თავისი უბრალოებით. მე ვეუბნები მას: მშვიდობით, სეკლეთეია! მშვიდობით, ჩემო სიცოცხლე, ღმერთმა მოგცეს ბედნიერება... ნუ თუ შენ არ გენანება, რომ ვშორდებით ერთმანეთს მეთქი? როგორ არ მენანება, შენისთანა ქვიანის და ლამაზის დაშორება, საუკუნოთ არ გავშორდებოდი, მაგრამ მე ვიცი, რომ შენ თავისუფალი ფრინველი ხარ და უნდა იფრინო შენ ნებაზე... სეკლეთეია ატირდა... მაპატიე მეთქი, სეკლეთეია! რას ამბობ, მე უნდა მადლობა გითხრა, არამც თუ საყვედურიო. რისთვის, რათა მეთქი? მაშაო, მეუბნება, რატომაც არაო, შენ შეგეძლო ამ დროს განმავლობაში მიშველ-ტიტველა გავეშვა ჩემი თავი, მეცა და ჩემი საცხოვრებელიც შენ ხელში იყო, როგორც გინდოდა ისე მოიქცეოდი, ხომ იცოდი, რომ მე არ დავიშლიდი, მაგრამ შენ ასე არ მოიქე, პირიქით მხოლოდ რაღაც ოთხი ათასამდე მანეთი აპკარი. სხვა შენ ადგილას ლობიოს მთლათ ამოჭამდა და ჯამსაც კედელს შენარცხებდა... მაშ!.. აი რა მითხრა სეკლეთეიამ, ეს, კარგი დედაკაცი იყო, კარგი!

მხოლოდ სეკლეთეია ცოტა იაღლიშათ მოვიდა: მე ოთხი ათასი კი არა, ხუთი ათასი მედღა ჯიბაში, მე მას ვაკოცე უკანასკნელათ და ამოვეყავ თავი პიტერში. ვცხოვრობდი ბატონივით, დავდიოდი თეატრში, გავიჩინე ნაცნობები, ხანდისხან გასართობათ თეატრშიაც ვთამაშობდი, მაგრამ უფრო კი კლუბში. კი რამ არის ეს ბანქოობა: ზილარ სტოლთან, ატირალე ქალღვეს და ერთი ღამის განმავლობაში სწორეთ ათ ჯერ მოკვდები და გაცოცხლდები. რა ჟრუანტელი გივლის, როდესაც გრძნობ, რომ აგერ აგერ გავიბათილდება უკანასკნელი ქალღველი, წააგებ უკანასკნელ მანეთს და გაეთრევი ქუჩაში მთლათ ცარიელ ტარიელი შენი ქონებიდან. რა სიამოვნებას გრძნობ, როდესაც აცნევე, რომ ასევე შიშობს შენი მოწინააღმდეგეც. უყურებ გაფითრებულ და გაწითლებულ სახეებს, ისენი თრთიან შიშისაგან, რომ არ გამოესალმენ უკანასკნელ გროშს. რა სასიამოვნოა მათი დამარცხება, ოხ როგორი სიამოვნებით გიღვლავს მაშინ სისხლი! ამარცხებ მოწინააღმდეგეს და ამავე დროს ფულს კი არა, თითქოს ნაჭერნაჭერ ხორცს აჭრი მას გულშიდან! ეს მარადის ხიფათში ყოფნა ერთი საუკეთესო წუთთაგანია ცხოვრებაში... და ყველაზე უკეთესი აზრი ეს არის:

ვინ არა პოეებს სიტკბოს ბრძოლაში

ან უფსკრულის პირს შიშით თრთოლვაში!

ღიღი ნეტარება მოიპოვება ამაში... და საზოგადოთაც კარგათ მხოლოდ მაშინ გრძნობ თავს, როდესაც რამე ხიფათში ხარ. რამდენიც მეტი შეგეშთხვევა, იმდენათ შინაარსიანია ცხოვრება. ყოფილხაროთ თქვენ ოდესმე მშიერი? მე ხშირათ რამდენიმე ღვე გამიტარებია უქმელ-უსმელი. და აი როდესაც გრძნობ, რომ ცარიელი კუჭი როგორ მწირათ ხრავს თავისავე თავს. როდესაც გრძნობ, როგორ გიცვივდება სასიკვდილოთ შიგნეულობა, მაშინ მზათა ხარ, რომ პურის გულისათვის მოკლა კაცი, ბავში .. ყველაფერზე მზათა ხარ, —აი ამ დანაშაულობის წყურვილში არის ერთგვარი პოეზია... ეს ძლიერ ძვირფასი გრძნობაა და როდესაც მას განიცდი უფრო მეტათ პატივსა სცემ შენ თავს.

(შემდეგი იქნება)





ვეთსიმანის უცხო წაღკოტი,  
ვერცხლის ჯილას ადგაჲს მთვარე,  
ზურმუხტ კაბას ურხევს ნაზათ  
მას ნიაფი მოტრფიალე!

აჲ აფეოქებს ვარდი კოკორს,  
იმის გვერდით კრთის ბუღბული,  
შტო შტოს ყელზე ვერხვება,  
რომ მოიკლან სიყვარული!

სიყვარული! სიყვარული!  
ახ, რა არის საგონებლათ!  
რომ გოლგოთა არ დნებოდეს  
მეს გულისთვის ტანჯვის ცრემლათ!

ის ქვიტინებს... იუდა კი  
მიისწრაფის ამბორითვის,  
აჲ, ჯარბიცი აღიწაითა  
ღვთიუ გულის წამებისთვის!

და ტურფა ბ რს, იმის მეჯლიშს  
სისხლის წყარო აძლევს ბანსა,  
კენესით... მაკრამ მაინკ მღერის  
ტანჯვის შემდეგ აღდგომასა!

ი. ველოშვილი.



მას ტაძრისასა, ჯერ-არს. ცოფნო და ბრმანო! რომელი უფროს არს: ოქრო, ანუ ტაძარი, რომელი განწმენდს ოქროსა მას? ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისევლნო, ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა, და ცერცოსასა, და ძისაკისასა, და დაგიტევებიეს უმძიმესი სჯულისა, სამართალი, და წყალობა; ესე ჯერ იყო საქმეთ და იგი არა დატევებათ. წინამძღვარნო ბრმანო, რომელი დაწურავთ ბუბნაკსა, ხოლო აქლემსა შთანთქამთ! ვაი თქვენდა მწიგნობარნო და ფარისევლნო ორგულნო, რამეთუ თქვენ გარეშე ჩანთ წინაშე კაცთა მართალი, ხოლო შინაგან სავსე ხართ ორგულნობითა და უსჯულოებითა“ (მათ., XXIII, 16—28).

აშკარაა, რომ მწიგნობარნი, მღვდელმთავარნი და ხუცესნი, ე. ი. ძლიერნი ამა სოფლისანი ვერ დატოვებდნენ დაუსჯელათ იმ კაცს, რომელიც ცხად ყოფდა ამით მოქმედებას, რომელიც სდევნიდა სიბნელეს და ეძიებდა სინათლეს: „რამეთუ ყოველი, რომელი ბოროტსა იქმნს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რათა არა ემხილნენ საქმენი მისნი (იოვ., III, 20). მაშინ შეკრიბეს მღვდელმთავარნი იგი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი, და ზრახვა ყვეს, რათა იესო ხაკვით შეიპყრან და მოკლან. ხოლო იტყოდნენ: ნუ დღესასწაულსა ამას, რათა არა შფოთი იქნეს ერსა შორის“ (მათ. XXVI, 3-5). ყოველივე ესე უწყოდა იესო და ამიტომ უთხრა თავის მოწაფეთ: „ვერ ხელეწიფების სოფელსა მოძულებათ თქვენდა, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ვწამე მისთვის, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიან“ (იოვ. VII, 7). მან იცოდა, რაც მოელოდა შეუბრალოებელ მტერთაგან თვისთაგან, მაგრამ იგი სრულიათ უშიშრათ, თითქო სიხარულით ეგებებოდა თავის საშინელ ხვედრს. „მე ვარ მწყემსი კეთილი-ამბობდა იგი—მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდგის ცხოვართათვის“ (იოვ. X, II). მაგრამ შეპყრობა იესოსი გაქირდა: მის მტერთ ეშინოდათ, რომ მის შეპყრობას არ გამოეწვია ხალხში აჯანყება, ვინაიდან პატივსცემდნენ მას. ამისთვის საჭირო იყო იესოს ფარულათ დაქერა; ეს უნდა მომხდარიყო ღამით, ვინაიდან ამ დროს ხალხს სძინავს, და ისიც ღალატით; ე. ი. იესო უნდა გაეცა ერთ მის მახლობელ მოწაფეს: ამ ყოველათ საზიზღარი როლის შესრულება, რომელიც კი ახსოვს კაცობრიობას, წილათ ხვდა იუდა ისკარიოტელს. ამან გაყიდა თავის მოძღვარი 30 ვერცხლათ. იცოდა იუდამ ადგილი იგი, სადაც იმყოფებოდა იესო და მუნ წარიყვანა ერი და მსახურნი ღვდელმთავართა და ფარისევლთაგან და ამბორის ყოფით გასცა იგი. „მაშინ რქვა იესო მოსრულთა მათ მის ზედა: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსულხართ მახვილითა და წათებითა. დღითი-დღე ვიყავ მე თქვენთანა ტაძრისა მას შინა და არა განყავთ ხელი ჩემზედა; არამედ ესე არს ქამი თქვენი და ხელმწიფება მღვდელისა“ (ლუკ. XXII, 52-53). „ხოლო კრებულმან მან და ათისთავმან და მსახურთა მათ ურიათამან შეიპყრეს იესო და შეკრეს იგი“ (იოვ. XVIII, 12). შემდეგ დაუწყეს მას განსამართლება, წამება და სასტიკ სასჯელთა მიყენება, რაიცა დასრულდა მისი ჯვარზე ცმით. და მან დაღია სასმელი იგი, რომელი არს წამება, უკანასკნელ წვეთამდე, ისე რომ მას ერთ წუთსაც არ გაუვლია გულში იმისაგან განთავისუფლებულიყო. იგი ბოლომდე დარჩა ერთგული თავისივე სიტყვებისა: „ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“ (მათ., XXIV, 13).

ამნაირათ შესძლეს დაჩაგვრა სხეულისა. მაგრამ არ ძალა ედვათ დატყვევება სულისა; შესძლეს მოკვლა ხორცის, მაგრამ ვერ შესძლეს სულის მოკვლა; შესძლეს გვამის დაფვლა, მაგრამ არ ძალედვათ დვთაებრივი ნაყოფიერი მოძღვრების დამარხვა. და აი ამ სულის ძლიერებაში მდგომარეობს ყოველივე აღდგომა.

ამაშივე მდგომარეობს იესოს შემდეგი სიტყვების დრამა სიტყვობა; „ცანი და ქვეყანა წახდენ, ხოლო სიტყვანი ჩემი არა წახდენ“ (დავ. XXI, 33). მოგა ქამი... სიტყვების დრამა მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხად უწყობს საქმენი ჩვენთვის. ახლა ვიტყვით მხოლოთ: ლოდი იგი, რომელი შეარაცხევს მაშენებელთა, ესე იქნა თავ-კიდე. აი არის საგულისხმიერო ჩვენთვის ყველა ახალი მოძღვრების იტორიაში...

მ. საგურე.

### გაზაფხულის სურათი.

თავდახრილი, სიცხით მკვნარი,  
 ია წყაროს ელოდება,  
 იცის—იმით გაიხარებს,  
 იცის—იმით გაცოცხლდება.  
 ესმის კიდევ მთის წვეროდან  
 გადმომსკდარი წყაროს ხმები,—  
 ეკლებსიგან დაჩხვლეტილთა  
 უტყუარი იმედები!..  
 ესმის ის და აღფრთოვნებით,  
 სიხარულით იმ ხმებს უსმენს,  
 და სიამათ იღიმება,  
 ნეტარებით გული უცემს.  
 მოქრის წყაროც... მოჩუხჩუხებს,  
 იისაკენ ეშურება,  
 ვერ ამაგრებს მთის კლდეები,  
 სამტეროთ რომ გზაში ხვდება;  
 მოქრის წყარო... მისი ხმები  
 მთა-ტყე და ველს ეფინება,  
 მოქრის, მოქრის... მისი ძალა  
 რომ ჩააქროს, ვინ იქნება!..

გ. გოგოლაძე

### მართი ბატონის ნაამბობი.

(სააღდგომო ეტიუდი)

მე ასე მეგონა, რომ გაზაფხულის მზის პირველი სხივი მარტო მე მომხვდა მეთქი. შევეკრთი, შევეკანკალდი დედის მუცელში, ბაა... ბაა... დაიწყო დედამ, და მე კი გადმოვეარდი ერთ ბურჯის ძირას. სწორე მოვახსენოთ, პირველათ მეუცხოვა არე მარე. ტანზე რაღაც ცივმა ჰაერმა დამკრა და ბურჯის ამებურძენა. „კარგი საქუდე კრავიაო“, წაიბურტყულა ჩემ გვერდით ვიღაცამ და წამატანა ხელი. მეტი რა ილაჯი იყო, ფეხების ბარტყუნით ავყვევი თან. დედა ჩემი კი მომძახოდა ბაა... ბაა... თურმე ნუ იტყვით ნათლიაჩემს ავეყვანე ხელში. ამ ნათლიას სახელათ „მწყემსი“ ერქვა და უთუოთ ნათლიას ონები კარგათ იცოდა დედა ჩემმა, რომ ასე მომძახოდა თან. „მოიცა, შე ტიალო, ცოტა შევათბოვო“, დაუყერა ნათლიამ დედა ჩემს, მოუქნია ჩაბახი და მე კი ტყავის კალთაში შემახვია. ტყავისა მეთქი ვამბობ, მაგრამ მაშინ კი არ ვიცოდი, რა იყო ტყავი. არა, ჯერ ჩემთვის არ გაეძროთ ტყავი და აბა რა მეცოდინებოდა; შენი ქირიმე.

ჰო, შემახვია ტყავში და მეთუნა. მე გავინაბე, მესიამოვნა ცივი სიოს შემდეგ ნათლიას ბუნაგი. კრძალვით უყურებდი ნათლია ჩემს ქვევიდან შიგ ჩასუქებულ თვალეებში, მაგრამ არც ის ვიცოდი, რომ ამ ჩასუქებულ თვალეებში, თუ ჩემი და ძმანების ქვანი იყო. რამდენიმე ხანს მასეირა ნათლია ჩემმა, ხანდინან თავზე გადამისვამდა ხელს და მეტბნებოდა: „ჩემო კარგო, ჩემო საქურქევო“ მე მიხაროდა, მიხაროდა, რომ ნათლიას ასე მოეწონდი... ვმე, რა ვიცოდი, რას ნიშნავდა მაშინ ან მისი აღერსიანი სიტყვები, ან მისი დაღრენილი



### კორესპონდენცია.

**დ. ხაუზრი.** დღეს უკვალზე უდიდეს ჩვენ ნაკლებ-ვანებს წარმოადგენს წიგნთ-საცავ-სამკითხველთა უქონლობა... თუმცა, სისწორე უნდა ვთქვათ, აქ არსებობს რკინის გზის დებოს სამკითხველო, მაგრამ მას კერძო დანიშნულება უფრო აქვს, ვინაიდან იგი თითო-ერთად მადლ ოჯახების საკუთრებასავეთ გამხდარა. ამასთან შენობაც მეტათ ვიწროა, რის გამოც დებოს წვრილ-ფენა მისამსხურებში შიგ ვერ შედიან იმის შიშით, რომ ამდენ ვიწროობაში ჩვენი ტუჩების ტანისამოსით არავის წაგებდნენ და სიზღვი არ დავიმსხურებთ. ამ გვარათ „დებოს სამკითხველოთი“ თვით დებოს ხალხიც ვერა სარგებლობს და მისასადამე დანახვინი უმეტესი ხალხის ნაწილი ხომ მთლათ მკვლევრულია განუბრევი სწორ-დოს... აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კითხვის სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ სამწუხროთ ამ სურვილსა და წუგუნულს ეკლავენ ისეთი ცუდი შინაარსის წიგნებით, როგორც არიან: „ასათ სამდუ-რადო“, „მკითხაობა-ბედ-იდობა“, „საქტლო“, „სიზმრის ასნა“ და სხვა.

სხენებულე წიგნები აქაურ მდაბიო ხალხს სხელმძღვანელობათ გაუხდია და, როგორც მოსალოდნელია, თან-და-თან ვრცელდება და-მღუბველი ცხუ-მორწმუნობა!...

ახლა, ვიკითხოთ: თუ კი ხალხს იმდენი წაკითხვა შეძლება, რომ სხატელოებისა და მათ გვარი მწერლების განცობა არ გაჭი-რებოთ, რატომ არ შეეძლება ჩვენი საუკეთესო მწერლების განცობა?!...


აქ, ამას წინათ, რამდენიმე შეგნებულე ბირები გვესტუმრენ, რომელთაც რა კი კარგათ გაიგეს, რომ სამკითხველთა დაარსება ჩვენ თვითონ ვეღარ მოგვიხერხებია, — გვირჩიეს: „თქვენი კარე-მობა კარგათ გააგებინეთ „ქართულია შორის წერა-კითხვის გამა-ვრცელებელ საზოგადოებას“ და იმედიც იქნა, რომ სხენებულე საზოგადოება უსათუოთ დავიარსებოს „სახალხო წიგნთ საცავ-სამკი-თხველსა““.

ამ სიმბატიურ საქმის განხორციელებისათვის სხვისი შეწყობა არ დაგვიბრდებოდა, რომ აქაურ დაბალ ხალხს თვითონობიერება არ აკლდეს და თან ნივთიერი შეძლებაც ხელს უწყობდეს. რაც შე-ეხება აქაურ შეძლებულ „მოწინავე ჯგუფს“ — „ინტელიგენციას“, ის არასა ზრუნავს, თორემ ხმურის დაარსებიდან დღემდე ნაყოფ-საც დაგვასხვებდა და მით დაგვიმტკიცებდა ერთგულობას... ის კი არა, ესენი, ორიოდ ბირს გარდა, წინააღმდეგ ასე გაიძახიან: ურ-ნალ-გაზეთები ჩვენთვის ხომ გვეშეგება, და რა საჭიროა, რომ და-ბაღმა ხალხსაც აზრანი ნაწერები იკითხოს?!... ესენი, რასაკვირ-ველია, ისეთი ვითომ-და „ინტელიგენტები“ არიან... აი, ამიტომ, მხოლოდ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ იმედი-და დავრჩენილვართ.

Stepannos,

**ა. შუთაიანი.** ხუთ აბრილს, სელამოს, აქაურ სთავად-აზნაუ-რო სკოლაში მოწაფეების მონაწილეობით სპექტაკლი იყო გამარ-ოული. სპექტაკლზე მოწვეული იყვნენ მოწაფეების გარდა მათი მშო-ბლებიც. წარმოადგინეს გუნიას «და-შიდანი» მესამე მოქმედება. ბრო-გამა სალიტერატურო ნაწილსაც შეიცავდა, მთავრობისკან ნება და-როული ღეჟსები უნდა წაკითხათ მოწაფეებს. ათი საათი იქნებოდა, რომ წარმოდგენა გათავდა და ის იყო ღეჟსების კითხვა უნდა დაე-წყო მოწაფეებს, რომ ამ დროს კარები გაიღო და შემოვიდა ზო-ღინშეისტერი ღისოვსკი, მასთან რამდენიმე ბრისტავი და უბნის ზედამხედველი. კანონის ძალით შე თქვენ გიკრძა-ხავთ სპექტაკლის გაგრძელებას და კოსოვთ დაუყოვნებლივ შიბისნდეთ. წინააღმდეგობა არავის გაუწევია, მხოლოდ სკოლის უფროსმა აუხსნა, რომ ასეთი შინაური ხასიათის სპექტაკლები სუ-ფოვლგან იმართება სკოლებში, რისთვისაც ზოლიციის კერძოთ ნე-ბის დართვა საჭირო არ არიო. ეს შეცთობა არისო, ბძანა ბ. ღი-სოვსკიმ, არავის ნება არა აქვს ზოლიციის ნება დაურთველათ რამე

კრებს გამართოსო. შემდეგ შეუდგა ოქმის შეყენებას, რასედაც სა-ღამოს 10 საათიდან, დილის 3 საათამდე მუშაობდა. აქვე უნდა შე-ვნიშნოთ, რომ ამავ სკოლის კომიტეტის არც ერთ წევრს არაა შემ-ეოფილა.



### რუსეთის ცხოვრება.

მთავრობის უწყებანი აცხადებენ: „უმრავლესობა იმ ბირებისა, რომელთაც მოამზადეს 9-სა და 17 თებერვლი უწყსოებისა ქალაქ მოსკოვში და რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ უწყსოებისა, დასჯილ იქმენ უმაღლესი ბრძანებით დაზატიმრებით არხსკელსკის დროებით სატუსადოში. ვიდრე ისენი არხსკელსკის სატუსადოში გაიგზავნებიან დაზატიმრებულ არიან მოსკოვის გადასავსავს საზატი-მროში, მათი ეოფა-ქცევა, რომელიც გამობსტება დაუწყხარებლო-ბასა, დისციპლინის დარღვევასა, საზატიმროს წეს-რიგის ურჩობაში, ბადებს იმ დასკვნას, რომ ამდენი ბირების ერთათ თავმყოფს დიდი ხნით ერთ ცინეში გამოაწვევს არა სსურველ შედეგს, რომელიც იძულებულ ეოფენ განსაკუთრებით ზომების მიღებას. ამის გამო და იმისთვისაც, რომ კერძოთ დაშეუდგეულებზე არ იქონიოს ცუდი გავლენა ზემოსხენებულმა კარემობამ, და რომ დაცულ იქმას საზა-ტიმროს წესიც, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება, რომ ბირველი განზრახვა დატერილთა დაზატიმრების ცინეში შეცვლილ იქ-ნეს მათი განცლაკეებითი დაზატიმრებით, ზატარ-ზატარ ჯგუფებათ რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქების საზატიმროებში.“

— სენატის განკარგულებით ბირველადწეებითი სახალხო სას-წავლებლებში, სწავლის იფლის გალება არ არის სავალდებულო იმ საზოგადოებათათვის, რომელთაც უკისრიათ ბირველათ ამ სასწავლე-ბლების შეხზვა. მათ გადახდებათ სწავლის იფული მხოლოდ იმ შემ-თხვევაში, თუ თვითონ განაცხადეს ამავ თანხმობა.

— გამოქვეყნებულ იქმნა შემდეგი უმაღლესი რესკრიბტი: ჩვენ იფინლიანდიის კენერალ-გუბერნატორს. იფინლიანდაში ამ ბო-ლო დროს გავრცელდა ცრუ ხმები იმის შესახებ, ვითომ ჩვენ აზრდა გვექმნეს გავაუქმით წლეულს ჯარში ემაწვილ კაცთა გაწ-ვევა. ამ ხმებმა ბევრი ემაწვილი კაცი შეაშფოთა და მათ შორის ეკვი დაბადა: უნდა გამოვცხადდეთ თუ არა ბუკარის გადასხდელათ, იფქრობენ ისინი. ჩვენმა იფინლიანდიის სენატმა, შეშინებულმა იმით, რომ შეიძლება ზოგიერთ ადგილებში ემაწვილ კაცთა გაწვევა დაბ-რკოლდეს, მოგვამართა უქვეშეგრდომილეს შემდგომლობათ იმ ვადის განკრძობის შესახებ, რომელიც ჯარში გასწავლათ არის და-ნიშნული, რათა ხალხს შეძლება მიეცეს დარწმუნდეს, რომ სამხედრო ბეკარის გამო გავრცელებული ხმები ცრუა. საჭიროთ გვანით რა ამ შუამდგომლობის შესრულება, მოგანდობთ თქვენ სენატის განცხა-დებისამებრ გადასდეთ ბუკარში გაწვევის ვადა და 24 იფინისს ნაცვლათ, როგორც კანონია აღნიშნული, სხვა დრო დანიშნოთ. იმედი გვაქვს, რომ იფინლიანდიის მოქალაქეებმა უწყიან ნამდვილი ჩვენი განზრახვანი და არ დაყოფნებენ კანონის მოთხოვნილების შე-სრულებას. ამ მოთხოვნილების არ შესრულება დაგვარწმუნებს, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში იფინლიანდაში არსებული მართვა-გამკეობის წეს-რიგი არ უზრუნველ ეოფს სხელმწიფო ცხოვრე-ბისა და მთავრობისადმი მორჩილების მშვიდობიანათ მსვლელობას“. ნამდვილს უმაღლესათ აწერია: „ნიკოლოზი“.

სამხედრო საბჭოს წევრებათ დანიშნულ იქმნენ ვარშავის ჯართა უფროსის თანამემწე ინფანტერიის კენერალი კომაროვი და იფინ-ლიანდიის კენერალ-გუბერნატორის თანამემწე შინოვი.

9 აბრილს გამერ-ფრეილინას ბარტენევის ზანაშფოღს დაქწრენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და ხელმწიფე მემკვიდრე.

10 აბრილს წესი აუკეს გამერ-ფრეილინის ბარტენევის გვამს. წირვის დროს ეკლესიაში მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული. დიდი



მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეუღლითურთ, დიდი მთავარი სერგეი მიხეილას ძე და ზრინტი გიორგი გიორგის ძე მეკლენბურგ-სტრელიცკი.

— სახალხო განათლების მინისტრი გენერალი ვანოსკი და-თხინილ იქმნა სამსახურიდან ავადმყოფობისა გამო, ხოლო დარჩე-ბა გენერალ-ადიუტანტად და სასულქოთო საბჭოს წევრად. სახალხო განათლების მინისტრის თანამემწე სენატორი ტაინი სოვეტნიკი მეშხანინოვი დათხინილ იქმნა სამსახურიდან, თანხმად მისივე თხინისა, ხოლო დარჩება სენატორად. სახალხო განათლების მინი-სტრის თანამემწე დეისტვიტელი სტ. სოვეტნიკი ზენგერი დაი-ნიშნა სახალხო სამინისტროს მმართველად.

ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე თ .

**საზრანგეთი.** მომავალმა არჩევნებმა ერთბაშთ გამოაფხიზ-ლა ზარევი. შეიქნა თითქმის, სარბიელზე გამოვიდენ იმისთანა ზრთეისის ხალხი, რომელნიც მხლდით არჩევნების დროს გამო-ჩდებიან ხალხი, და რომელთა შრომა უზვათაჯილდოვდება მხლდით ამ დროს. ყოველ კანდიდატს არჩევნების წინა დღეებში თავისი სა-კუთარი ორგანო გაუჩდება ხალხი. ამ ხელდასხელ გამჩევილ გასე-თებს, ანუ ესრეთ წოდებულ მხრთავე ფურცლებს არც ერთი ხელის მომწერი არ ეავს, არ იუიდება არც ცაღობით, მას სრული თავისი ხარჯით ბეჭდავს და ავრცელებს არჩევნებით სდერდელ ამოილი კან-დიდატი. ესეც ხდება ხალხი, რომ ამისთანა გასეთს მთავრობა აძ-ლევს სუბსიდას საიდუმლო ფონდიდან, თუ, რასაკვირველია, კანდი-დატი მისი სასურველია. ამ გვარი ექსტრა-ორგინალი გასეთები სოკოსავით იბადებიან, მათ მუქათთ ურიკებენ ყველა ამომჩევილებს. ამ გასეთებს უავს ასეთივე ორგინალური თანამშრომლები. ეს მათ სპეციალურ ხელობას შეადგენს. მათი მოვალეობაა კასვარონ ტალ-ხში თვისი კანდიდატის მოწინააღმდეგე და რაც შეიძლება აქონ და ადიდონ თავისი ზატრინი. ისეი ამისთვის ყოველგვარ ზომებს ხმ-რობენ. არ კმარებენ მხლდით კანდიდატის ფიზიონომიის დასასა-თებს, წვდებიან მის ხათესავეს, ნანობებს, ჩხრევენ მის წარ-სულს, ერთი სიტყვით, რასაც ვი ხელი წამოეკვრება, ყველაფრით სარგებლობენ.

ამ ერთმანეთის ღაფში ამოსვრას, ერთმანეთის დამტირებას უვიდურესობამდე, მოყვება ხალხი დუელები და სახივრები ცილის წამებაზე. ღაბორიმ, მაგალითათ, უკვე აღძრა სამი ამგვარი სახივ-რი, რათა შეეცოთ თავისი მოწინააღმდეგეთა ფარდას უკან დამალუ-ლი ფიზიონომია. ყოველ კანდიდატს ეავს სპეციალური აკენტები, რომელნიც ამ დროს განმავლობაში საკმაოთ კაი ფუდს იძენენ. ყო-ველ კანდიდატს გარს ახვევია მთელი ჯგუფი ამომჩევილთა აკენ-ტებისა და სეკრეტრებისა. მათ მოვალეობას შეადგენს გამართონ მი-ტინგები, ჩადგენ კარებში და არ შეუშვან მიტინგზე მოწინააღმდე-გეთა ამჩევილები, რათა მანიფესტაციი არ მოახდინონ. საარჩევნო აფიშების გამოკრევილ ასევე სპეციალისტთა თავისი საქმისა. მისი უშირველესი დირსება იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მა-რდით გააკრას აფიშები. ზოგი მათგანი ისეთი არტისტია ამ საქ-მისა, რომ ერთი საათის განმავლობაში 300 აფიშს აკრავს. არიან აგრეთვე ერთგვარი ხელობის ზრინიც, მათ სპეციალურ საქმეს შე-დგენს საარჩევნო მიტინგების ხელის შეშლა. ზარევიში, მაგალითათ, არიან რამდენიმე ამისთანა ზრინი, რომელთა სპეციალურ ხელობას შეადგენს ძაღლივით ყეფა. თუ რომელსამე კანდიდატს სურს, რომ ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგის მიტინგს, ის ქირაობს ამისთანა ძაღლის ყეფის მტოდნეს, აზხავნის მიტინგზე და ისიც ორატორის განსარებული დაზარავის დროს ატეხს ერთ ვაი უშველებელ ყეფილს და ყეფას. ორატორს ხელი ეშლება, მიტინგი იფუშება. ამისთანა შეყვანები ძრიელ ძვირათ ფასობენ ზარევიში. არიან, მაგალითათ, იმ-გვარნიც, რომელთა ხელობას შეადგენს მასხინის მისაცემით გასა-ჭირი კითხვის აღძვრა მიტინგის დროს. კანდიდატი ამობს სა-ტყვას, უნებ აძლევს ის რამე გასაჭირ კითხვას, ორატორი ვერ

უკებს მასხინს და მთელ იმის სიტყვას ეკარგება ვაჟაბი. იმ-დროს, არიან ესრეთ წოდებული მხეველო-კანდიდატებიც. ისეი დამ-ზადებულა ეავს რომელსამე კანდიდატს იმ შემთხვევით, რომელიც დესაც მისი მოწინააღმდეგე შევდება. ის მხეველო-კანდიდატი მისი ზირველის სასარგებლოთ აცნადებს უარს თავის კანდიდატურასზე. ის ამისთვის, რასაკვირველია, ტუულათ არ ირჯება და იდებს ბლომთ ფულებს. მაგრამ სმირათ მომხდარა, რომ ამისთანა კანდიდატი მა-რთლა ამოურჩევიათ დეპუტატთ... მინისტრთაც კი მოქცეუ-ლა. ამ მომავალ არჩევნებისთვის დაარსდა სპეციალური სააკენტო-ები, რომელნიც საარჩევნო კომისიებს აწეობენ უწყებულ ფასათ.

**ზარევიანი.** რამდენიმე დღის წინეთ ქ. ზოხანში ზოლონელ მოქალაქეებმა და ხელეოსნებმა გამართეს კრება, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. კრების სვანა იყო გამოკრევიათ ზრუსიის მთა-ვრობის ზოლიტიკა, რომელსაც მოხდევს ის ზოლონელთა შესახებ. კრებაზე ზირველათ ილაზარავა ორატორმა კანარვსკიმ, რომელმაც კარჩიას მინისტრთა სიტყვა, წარმოთქმული ზრუსიის ზარევიანტში. ის კრიტიკულათ შეეცო მინისტრების იმ აზრს, რომ ზომები, რომელსაც ამ ჟამთ ზრუსიის მთავრობა ხმარობს ზოლონელთათვის დროსა და გარემოებისთან შეთანხმებულადა. ღვეანდოვსკიმ დაასხუ-ლა ზომები ზოლონელთა დასაცველათ.

**ოღსაღათი.** სტამბოლის ცინიდან ამის წინათ გაქცეულა ახალგაზდა მუსულმანი ქალი, რომელიც ეკუთვნის შამილის ჩამომ-ვლობას. ეს ქალი შეიღ თვე ყოფილა დამატირებული დასაშინელი წვალება და ტანჯვა აუტანია; მისგან თხოულობდენ, რომ მას გამო-ესპარავებია ახალგაზდა ოსმალითა საიდუმლონი, რომლის შესახებაც მან თურმე არაფერი იცის. ეს ქალი ყოფილა და ახალგაზდა ოსმა-ლითა ერთი წინამძღვარისა. ის გაიქცა ათინში ინჯლისის გემზე, აქედან მას ოსმალითის მთავრობისთვის მიუწერია გრძელი წერილი, სადაც დაწვრილებით წერს თურმე ყოველსავე თავის თავგადასავალს სტამბოლის ცინში და გამოთქვამს იმედს, რომ შესაძლებელია იმ საიქიოს მაინც შევხვდე აბდულ-ჰამიდს და შევთხოვო, რომ ანატი-ტიონ ცოდვანი იმათ, ვინც მე ასე მტანჯესო.

წერილი პარიზიდან.

დადგა გასაფხული. ზარიზს აღარ აწევს ღოდათ ზამთრის მუდამ შეუღ-შეკრული ცა, როდესაც კვამლით და ნისლით გაუღენ-თილი და დამძიმებული ჰაერი ვებერთელა ნანრის ფერ ქვაბივით დაკომობდა ხალხი ქალაქს და მზე კვირიდან კვირამდე იშვარათვე სახატრელი სდებოდა, როგორც დაზღანდიაში. მხლდით სიცოცხლის დღე და დამ დაუდგვარი დუდილი აქარწელებდა ბუნების ასეთ ცუდს შთაბეჭდილებას. ახლა კი სულ სხვაა: თვალ-უწვდენელი ხეი-ნები და ფართო ბაღები ამწვანდენ და ხორცი შეისხეს. ღურჯ ცის კამარზე მიმოფრტულან დრუბები და აურებელი ქარხნების ბუ-სრებიდან ამომავალი კვამლი შავ-ზოლებათ მიიზლასხება მდლა. ბუნება აუგავდა, მაგრამ საარჩევნო ავიტაციის წინამძღოლებმა ღამის ბუნებას გადააჭარბონ, ისეა ყველაფერი აზილბილებული ზარიზში საარჩევნო ფერადი აფიშებით. ყველა კედლები ქუჩებზე, სადაც კი არ აწერია „აფიშების გაკვრა აღქმადელია“-ო, დაფარულია ასეთი აფიშებით, რომლებზედაც წერია მხლდით რომელიმე კანდიდატის სახელი და გვარი. დღეს ქუჩა აჭადრავებულია ივანეს სახელით, ხვალ დიდას ყოველგან ზეტრეს აფიშებია გარული და ზეგ კიდევ სხვა. მიუხედავთ იმისა, რომ საზოგადოებო აფიშებისთვის ცალკეა ახლათ აშენებული ფიცრები, ასეთ აფიშებს ყველგან შეხვდებით. აფი-შები შეიცავენ მოქალაქეთადმი მიმართვას და თავის ქებას,—მე ამომიჩიეთო. თუ კანდიდატი უკვე დეპუტატთა და ხელახლავ აენებს თავის კანდიდატურას, ის თავის წარსულ მოღვაწეობას ჩამოთვლის და ზირდება, რომ შეუშლებათ განსკობის იმავე ზოგადმის ასრუ-ლებას, და თუ კანდიდატი ახლათ, ცისა და დედა მიწის ჩანარებას და დამტკიცებას ზირდება თავის ამომჩევილებს, იქვე რასაკვირე-ლია, სული არ გაუძლებს, არ უგბინოს თავის მომხრეებრეს, რე-



მღის აფიშაც მისი აფიშის გვერდითაა მიკრული, და არ დაწამოს მას ან საფრანგეთის გაიღვის, ან მისი გაურიაფების, ან მთელი უძრავ-მომარაგო ქონების ევკლასთვის თანასწორათ გაუფის... და ან კიდევ სხვა ამ გვარ სსშინელებათა სურვილი, — თვითონ კი თავის თავს ზეცისაგან მოფლენილ ანგელფხათ სახავს და იძახის: ზატრი-ოტი ვარ, ნაციონალისტი ვარ, რესპუბლიკანელი ვარ, დემოკრატი ვარ, სოციალისტი ვარ და სხვა. საკვირველია ამ უბედურ დღესე დაბადებული სიტყვის „დემოკრატის“ ბუდი! ვინ გინდა, რა ფერის და ჯურის ადამიანი გინდა, რომ ეს სიტყვა ენაზე არ ეკეროს და დემოკრატის ჩადში არ ეხვეოდეს: კოლექტივისტი და ანტი-სემიტი, რადიკალი და რთადისტი, ანარქისტი და კლერიკალი, უფუკა ბურჟუა და მილიონის ზატრიანი, — ყველა დემოკრატებს ეძახიან თავის თავს. დღე ერთი და ამომჩვეულთა კრება ოცი ქალაქის უფველ ნაწილში: კანდიდატი ყველგან თავის ზრგზრამს მარტავს და სამოთხეს ზირდება. წერით, სიტყვით თუ საქმით მის ზირდაზირენი უფველ დონის ძიებას ხმარობენ მტერი დაამარცხონ, დაამტკიცონ ის ამომჩვეულთა თვალში და ამით მათი სიმშატის ხმებითურთ თავისკენ გადაიბირონ.

ერთ ასეთ ზოლიტიკურ კვანტათ უნდა ჩაითვალოს ამის წინეთ წამოყენებული გაზის საქმე. ზარბი, ქვეყნის თვლი ზარბი, წარ-მოადგინეთ, ამდენსანს გაზითაა განათებული, მასინ რადესაც ბუ-რათ უფრო ზატრა და ღარბამა ქალაქებმა ელექტრონით განათეს ქუჩები და სახლები. გაზით განათების უფარგისობა (ელექტრონთან შედარებით), მისი ტუნნიკური და ეკონომიური მსარეებიც რომ არ მივიღოთ შედეგადობაში, იქიდანაც ჩანს, თუ როგორ აფუქსებს ზეგან გაზის მჭვარტლი, მთელი ზეგანი გაუღენთილია ამ მჭვარტლით და შავი ტანისამოსი თუ არ გაცვია, შენ მტერს! (ამიტომაც, ზარბიში რომ ფერად ტანისამოს, ასე წარმოადგინეთ, ქალებსაც კი ვერ უნახავ; ხელ-ზირი დღეში ხუთჯერ რომ დაიბანო, მანაც შავი ნაბანი ჩამოგდის, თითქო ჭიათურის გვირგვინში გამოშვავს და ზირის დაბანის დროც არ მოგცეს; ცხვირის სესტეები მუდამ გა-შავებული გაქვს, თვალტვებს ხომ რაღა უჭირთ. განათების საქმე კერძო „გაზის საზოგადოების“ ხელშია. თითო კუბიკური მეტრი გაზისა დღემდე ღირდა 30 სანტიმით. ამ თვენსხვერის წინეთ წამოყენეს წინადადება, რომ გაზის საზოგადოებას, რომელსაც კონცესია 1906 წელს უთავდა, კიდევ მივცეთ ეს საქმე 15 წლით და ამისთვის საზოგადოება თითო მეტრს გაზისს ზირველ ხეთ წელიწადს დღეიდან 20 სანტიმით მიცემს მხმარებულთ, შემდეგ 17-ათ და მერე კიდევ უფრო ნაკლებათ. სხვილი და წვრილი ბურ-ჟუაზის წარმომადგენლებმა გაათურეს ეს წინადადება, უკიდურესმა შემარცხნებმა კი შავი კენჭი მისცეს. წინადადება ხმის უმეტესობით მიიღეს. ვერ წარმოადგენთ, რა ალიაქთი ატებს ამ კენჭის ურამ როგორც ზრესში, ისე ზარბიელთა შორის. ყველა გაიძახდა: აი სოციალისტები, იძახიან ხალხის ინტერესების დამცველი ვართო და როცა ასეთ ეკონომიასე მიდგა საქმე, როგორც თითოეულ მეტრზე 10 სანტიმი, მასინ განზე გადაგნო და სხვა... ძნელი მისხვედრი არაა, რომ ასეთ დროს ამომჩვეულთა გულის ცანივება სარგებლობას არ მოუტანს სოციალისტებს არჩევნების დროს. საქმის გამოსკვარ-იანებლათ სოციალისტებმა გამოაქვეყნეს გრძელი სტატია, სადაც სულ უფიციცი კი დაინახავდა, თუ რამდენათ საზარალთა ქალაქისათვის კონცესიის გაგრძელება და რა მოტავებით ხელმძღვანელებდნ ისინი შავ კენჭს რომ აძლევდნ. ესეც რომ არ უფიციცი, განა თვითონ ის ფაქტი, რომ გაზის საზოგადოება კონცესიის გაგრძელებას თხოულობდა და ფასი თვითონ დაუდო, განა ეს არ კმარა იმის დასმტკიცებლათ, რომ ეს საქმე მსუქანია და მისი ხელიდან გაშვება არ სურთ დიდ დივიდენდში დაინტერესებულ აკციონერებს? მასხა-დამე რამდენ სარგებლობას მოუტანდა ეს საქმე თვით ქალაქს? მარ-თაღია ზოგიერთ ამომჩვეულთათვის დღევანდელი კაპიკი დემოკრატია, მაგრამ მის წარმომადგენლებს ძლიან კარგათ ესმით, თუ რას ჩადიან, და მიუსხედავთ ამისა ზოლიტიკური კვანტი აფობინეს,

რს მოყვება ამ და სხვა ასეთ კვანტებს, ამას გვიჩვენებს 26 ანტი-ლი, არჩევნების ზირველი დღე. მეორე არჩევნები 7 მაისსა დასი-შნული.

**ქართული**

ასეთია ზოგიერთი გამოაშკარავებული კითხვების და ბნელში დარჩენილი კი უფრო მეტია, როგორც ყვე-ღჯან ამ ცოდვილ დედამიწასე...

ა:

**ქარბისალ ლიბერი.**

(წერილი ბერლინიდან).

უპტველია, ქართულ გაზეთებშიაც იქნებოდა ტელეგრაფით გა-დმოცემული ცნობა, რომ დ-რი ლიბერი კარდაიცვალა. ვინ იყო ლი-ბერი და რით იყო იგი შესანიშნავი?

დიდი არაფრით. არც ნიჭით, არც ცოდნა-განვითარებით იგი ისეთ არაფერს წარმოადგენდა, რაც ჩვეულებრივს ადამატებოდეს და რის გამო ღირდეს დაზარაკის კაბმა. მაგრამ იგი მუთაურობდა გერ-მანიის ერთ დიდ ზოლიტიკურ ზარტიას, რომელსაც სახელათ „ცენ-ტრი“ ეწოდება და გერმანიასი დიდი ძალა აქვს. ლიბერის მნიშვნე-ლობაც ამ მუთაურობით განისაზღვრება.

ცენტრის ზარტია 1871 წ. დაარდა. როგორც მოგვხსენებათ, ამ წელს მისდა გერმანიის ზოლიტიკურათ გაერთიანება, იმპერიის დაარსება, წარმოდგა გერმანიის გაერთიანებული იმპერია, რომელში-აც ზირველი ადგილი, ძალა და გავლენა ზრუსიას ხვდა წილათ, იმ ზრუსიას, რომელიც გერმანიის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, უფველთვის რეაქციონურ წეს-წყობილების განხორციელებას წარმო-ადგენდა. ამიტომ სამხრეთ გერმანიასი ზრუსიას ძლიან ნაკლები სი-მშატის და სიფარული ქონდა მობეებული. აქ ძველი დროიდანვე დი-დი იყო საფრანგეთის გავლენა; ხალხის დიდ-ძალი უმრავლესობა კა-თოლიკურ სარწმუნოებისა იყო და ზოლიტიკურ იდეალების მხრით უფრო თავისუფალ მოქალაქობრივ წესწყობილებას ესწრაფებოდა. იმ-პერიის დაარსების დროსაც სწორეთ ამ კათოლიკებით დასახლებულ სამხრეთ გერმანიის ადგილებში იჩინა თავი ზარტიკულარულმა მო-ძრობამ და ზრუსიის გაბატონების სიძულვილმა. კათოლიკეები ხე-დავდნ, რომ იმპერიის დაარსებით და გაძლიერებით ეკლესიას ძალა და ავტორიტეტი უნდა მოკლებოდა, სახელმწიფოს საქმეებში ზანს გავლენა უნდა დაკარგოდა. რასაკვირველია, ეს მათ არ მოწონდათ. იესუიტების ავტორიტეტი და გავლენით მათ შეადგინეს ცალკე კლე-რიკალური ზარტია და 1871 წელს 63 დებუტატი გაგზავნეს რეიხ-სტაგში თავის წარმომადგენლებათ. ესენი უნდა უფიციციყვენ გამო-მხატველნი სამხრეთ გერმანიის განკერძოებულ მისწრაფებათა, დამ-ცველნი კათოლიკეების სარწმუნოებრივ ინტერესებისა და ზანის და ეკლესიის ავტორიტეტისა.

ამ ზარტიის მიმართულებაში ბისმარკმა სამშობლოსადმი დაღა-ტო დაინახა. მან მოთხრვა ზანს, რომ სამდგველობისთვის ზოლი-ტიკური ავტორიტეტი და საზოგადოთ ზოლიტიკაში ჩარევა ადევრძალა. ზანმა არ დათანხმდა. და, აი, იწყება ბისმარკის ხანგრძლივი ბრძოლა კათოლიკე-კლერიკალებთან, რომელსაც ისტორიასი „Kultur-kampf“-ს (კულტურულ ბრძოლას) ეძახიან. ბისმარკმა იხმარა ზო-მუთი კლეროკალების გავლენის შესუსტებლათ: განდევნა გერმანი-იდან იესუიტები და მათთან დაკავშირებულ ბერთა ორდენები და და-ადგინასხვა-და-სხვა კანონები კათოლიკეთა ეკლესიის საწინააღმდეგეთ.

მაგრამ ამ ზომებმა მიზანს ვერ მიაღწია. რაც მეტს ებრძოდა ბისმარკი ეკლესიას, მით უფრო მრავლდებოდა და ძლიერდებოდა კლერიკალების ზარტია, მით უფრო ძლიერ ოპოზიციას უწყევდა მას ეს უკანასკნელი ზარლამენტში. დევნამ და შევიწროებამ ცენტრის ზარ-ტიას გაამარგა და გააძლიერა. იგი დღესაც მაგარი და ძლიერია. მის მომხრეთა რიცხვი რეიხსტაგში 100-ს ადამატება.

ცენტრი მუდამ ოპოზიციასი იყო. მას ემატებოდნ, როცა ბი-სმარკის ზოლიტიკასე მიდგებოდა საქმე, სხვა-და-სხვა ელ-ფერის დემოკრატებიც, ასე რომ ბისმარკს რეიხსტაგში უფველთვის ძლიერ-



რი ობიექტი ვადა. ბოლოს ბისმარკი მისუდა თავის შეტომას, სხადი ჩაგო და ცენტრთან დახლოვება და შერიგება გადაწყვიტა. მან დაუთმო ზოგი რამ კათოლიკეებს, მისნო ზოგიერთი მათ წინააღმდეგ გამომცემელი კანონები და ცენტრიც მისკენ გადაიწია. ამან ობიექტის თავი დასხება და თანდათან მთავრობის მიმხრე და დამხმარე შეიქმნა.

სასამ ცენტრი ობიექტის იყო, იგი კლერიკალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა, თუმცა მას კონსერვატიული ელემენტებიც სავსათ ახლდა და დღესაც ახლავს. ცენტრის ამომრჩეველთა შორის შეადგენენ ერთგვარ მთელს, გართიანებულს კონსერვატიული ინტერესებით. აქ არიან დიდი მემკვიდრეები, წვერილი გლეხები, ხელახლები და მუშებიც. რასაკვირველია, ეკლესია ამთი ინტერესების დაცვას ერთ და იმავე დროს მოუხერხებელია. და ასე ცენტრის ამომრჩეველებში მრავალი ეკონომიური განხეთქილებაა. სავსათ მათ, კარდა სარწმუნოებისა, არა აქვთ რა ერთმანეთში. მოუხერხებელია ამისა, ცენტრი ასრულებდა და ასრულებს დღემდე მათ შეერთებას და ერთი პარტიით დაკავშირებას. ეს იმიტომ, რომ იგი ერთ განსხვავებულ და პირდაპირ პოლიტიკას არას დროს არ ეწყობდა. ხან თმვის ამომრჩეველთა ერთი კლასის ინტერესების დაცვას ცდილობდა, ხან მეორისა და ხან მესამისას. შედგრათ და ენერგიულათ ვერც ერთის ინტერესს ვერ იცავდა, რომ ამით ამომრჩეველთა სიმრავლე შეერხინა და არ დაეკარგა. ამიტომ იგი ხან კონსერვატიული იყო, ხან ლიბერალი და ხან დემოკრატი.

მანც ცენტრის პარტია, სასამდი ობიექტის იყო, სავსათათ კლერიკალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. იგი ეწინააღმდეგებოდა მთავრობის ჯარისა და ფეოდალის კამრავლების გამო, წინააღმდეგი იყო გადასახადების გადიდების და გადასხთელ ხაზის შევიწროების, თხრულბდა პოლიტიკურ თავისუფლების გაფართოებას, მუშებისთვის ზოგიერთ სასარგებლო კანონების გამომცემას, ხელახლების მდგომარეობის გაუმჯობესებას,

მაგრამ ეს შეიცვალა მას შემდეგ, რაც ცენტრი ობიექტიდან ხელგამოვიდა და მთავრობის მიმხრე გახდა. დაეს სწორეთ დ-რ ლიბერლის შეთავრებაში მისდა. აკერ რვა-ცხრა წელიწადია, რაც ლიბერლი ცენტრის პარტიას შეთავრებდა. და ამ უკანასკნელ 10 წელიწადში მისდა ცენტრის ტაქტიკის შეცვლაც და პრინციპების შერევეც. ცენტრი გახდა მთავრობის თითქმის უფელ პარტიების მიმხრეთ. იგი ხამდვილი Regierungspartei მთავრობის პარტია შეიქმნა. და ცენტრისამ ვერც შეცვლაში ლიბერის, ვითარცა პარტიის წინამძღოლს, უეჭვლათ დიდი ზილი მიუძღვის. ტუვალათ კი არ მისწერა გერმანიის კაცნ ცენტრმა, ბიულაომა, ლიბერლის ქერიეს, რომ სამშობლო ტირის შესწინაშეს კაცისა და მოქალაქის დაკარგვას, რომელმაც ხელა შეუწყო გერმანიას სამხედრო და საზღვაორო გაძლიერებას.

ლიბერლის სიკვდილით ერთი მეტათ მუყაითი და მშრამელი კლერიკალი მოაკლდა ცენტრის პარტიას და ძალიან ეშმაკი და გამომცემელი ეკლესიის გერმანიას რეისტაცს.

X.

თავისუფლება ნებისა, თუ აუცილებლობა?

ფსიხოლოგიური ეტიოლოგი.

წერილი პირველი.

(გაგრძელება. — იხ. № 15).

ჩვენ მოკლეთ დავახსიითეთ ჩვენი შემეცნების ძირითადი ელემენტები; გავსინჯოთ ახლა მათი ფსიხოლოგიური საფუძველი და გავიგოთ, თუ რა აკავშირებთ მათ ასე მკიდროთ ერთმანეთთან.

შესანიშნავ არისტოტელსაც კი ეგონა, ფსიხიური ცხოვრების ორგანო გულიაო. დიდხანი არ იცოდენ, თუ სად იყო აზროვნების ალაგო, და ბევრს ჩვენ დროშიც, ასე გონია, ვითომ აზროვნება ნაყოფი იყოს რაღაც სულის. მხოლოთ დიდი ხნის ცდამ და დაკვირვებამ წელანელა დაარწმუნა ალა-

მიანი, რომ ის ცხოველები, რომლებსაც ტანთან შედარებით მეტი ზომის თავის ტვინი ქონდათ, მეტ ნაესსს უფრო რთულ და მრავალგვარ მოძრაობას იჩენდენ. ამას წინააღმდეგობა უწევს უფრო უფრო კვლევა მეთვრამეტე საუკუნის გასულიდან მოყოლებული, პათოლოგიურ მოვლენათა შესწავლა, და ღღეს ცხადი გახდა, რომ ჩვენი ფსიხის ორგანო თავის ტვინია; ხოლო იმ უტყუარ ქემბარიტებას, რომ აზროვნება მხოლოთ ფუნქციაა თავის ტვინის, ისე როგორც ნერწყვის გამოყოფენა სანერწყვო ჯირყვლების, რძის გამოყოფენა ძუძუსი და სხვ., ბევრი ღღესაც ვერ შერიგებია იმ გარემოების წყალობით, რომ ადამიანის ბუნებას საზოგადოთ ეძნელება საამო ილუზიიდან გამოხელა.

რადგანაც ფსიხიური ცხოვრება ფუნქციაა თავის ტვინის, ჩვენი ტვინს მივმართოთ და დავინახოთ, რა დამოკიდებულეება აქვთ მასთან გრძნობელობას, წარმოდგენას და იდეათა ასსოციაციას. ერთი მხრით არაინ არ უარყოფს იმ აზრს, რომ გარეშე ბუნება ჩვენ გონებაში ახდენს სხვა-და-სხვა ცვლილებას ნერვების შემწეობით; მეორე მხრით უმეტესი წილი ღღეს ემხრობა, როგორც საზოგადოთ ორგანიული ცხოვრების განვითარების კითხვაში, ისე ფსიხოლოგიაში იმ ევოლუციონიზმს, რომელიც ამტკიცებს აზროვნების უმაღლესი საფეხურის წარმოშობას უმდაბლესიდან და ტვინის რეფლექტორულ და ავტომატიური მოძრაობის საზოგადოთ და რთულ მოქმედებათ გადაქცევას. ამიტომ საჭიროა მოკლეთ განვიხილოთ ის გზა, რომელიც უნდა განველო ტვინის წარმოშობასა და განვითარებას, და რეფლექსის და ავტომატიური მოძრაობის ბუნება. უამისოთ გრძნობელობისა და წარმოდგენის ახსნა ადამიანის ფსიხოლოგიაში შეუძლებელია.

არის მთელი სამეფო დაბალ ცხოველთა უბრალო ამებიდან მოკიდებული, რომლებიც როგორც ნერვებს, ისე კუთებს მოკლებული არიან. ავილოთ მაგალითათ ამება. მთელი მისი ტანი წარმოადგენს ერთ უჯრედს, ყველა მისი ქსოვილები მარტო ერთ პროტოპლაზმას; ამ პროტოპლაზმაში არც ნერვები, არც კუთები, ხოლო აქ პირველი შეხედვით ერთგვარი პროტოპლაზმა ასრულებს, როგორც ნერვის ფუნქციას, ისე კუთისას. ეს ორი სხვა-და-სხვა ფუნქცია გალიზინების გატარებისა და შესაფერი მოძრაობის მიღებისა, რაც განვითარებულ ცხოველში ნერვებსა და კუთებს გაუხლიათ თავთავის სპეციალურ ფუნქციათ, ამებაში ჯერ არ არის განაწილებული: როდესაც ამება შეხედება რომელიმე თავისზე პატარა არსებას, ის მაშინვე გამოუშვებს თავისი პროტოპლაზმიდან ფეხებს და მათი შემწეობით ტანში შეიწოვს ამ არსებას. ამგვართ პროტოპლაზმა ასრულებს ნერვის ფუნქციასაც, კუთისასაც: ნერვის ფუნქცია ჩანს იმაში, რომ სხვა არსებასთან შეხებით პროტოპლაზმა ღიზიანდება, ამება იგებს, რომ ის რაღაცა შეეხო; კუთების ფუნქცია გამოსქვიკს იმაში, რომ გალიზინებისათანავე პროტოპლაზმა გამოუშვებს ხოლმე ფეხებს. რა ნაირათ წარმოდგა ისეთი პროტოპლაზმისაგან ერთის მხრით ნერვები, მეორეს მხრით კუთები? ამას გვიხსნის ერთი კანონი, რომლითაც ყოველგვარი გალიზინება ყოველ სხეულში ვრცელდება იმ მიმართულებებისკენ, რომელიც მას ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს. როდესაც გარეშე მიზეში გაალიზიანებს ამების ზედაპირს, ეს გალიზიანება მისი პროტოპლაზმის ყველა ნაწილებს გადაეცემა, მაგრამ ერთნაირი სისწრაფით კი არა; რადგანაც პროტოპლაზმის ზოგი ნაწილები გალიზინებას ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს, ვიდრე სხვები, ამიტომ აშკარაა გალიზინება იქითკენ უფრო სწრაფათ გადაეცემა, საითაც წინააღმდეგობა ნაკლებია. საქმე იმაშია, პროტოპლაზმის ზოგი ნაწილი რათ ეწინააღმდეგება გალიზიანებას უფრო, ვიდრე დანარჩენი ნაწილები? ამ საკითხის ასახსნელათ სპენსერი თავის ფსიხოლოგიაში იშველიებს თავის ჰიპოტეზას; ის ამბობს: რადგანაც ყო-



ველისფერი ერთგვარი ფუყვა და ცვალებადი, ამიტომ დროს განმავლობაში ერთგვარი პროტოპლაზმაც იცვლება და მისი ნაწილები ერთნაირი აღარა რჩებიან: აქ უალაგოა იმის კვლევა, თუ რამდენათ ამართლებს სპენსერის ჰიპოტეზას ღრუბნ-დელი მეცნიერება, ხოლო პროტოპლაზმის ღრმა შესწავლამ მეცნიერებას დაანახვა, რომ არ არის ისეთი არსება, რომლის პროტოპლაზმაც ყველა თავის ნაწილებში სრულებით ერთგვარი იყოს. ამგვარ პროტოპლაზმის ნაწილებიც შედგენილობით ერთმანეთისაგან განიხილება. აქედან თავის თავთ ცხადია, რომ გარედან მიღებულ გალიზიანებას ეს სხვა-და-სხვა ნაწილები სხვა-და-სხვა წინააღმდეგობას გაუწევენ და გალიზიანება გავრცელდება იქითკენ, საითაც წინააღმდეგობა უფრო სუსტია. წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ასეთი გალიზიანება მეორდება ხშირათ. ბიოლოგიამ გამოარკვია, რომ ყოველგვარი ფუნქცია იწვევს ორგანიზმს შედგენილობის ცვლასაც. ამიტომ პროტოპლაზმაში ის ნაწილები, რომლებიც უფრო უწყობენ ხელს გალიზიანების გატარებას, ნელანელა დაშორდებიან დანარჩენ ნაწილებს; ისინი თანდათან შეეგუებიან გალიზიანების გატარებას, რადგანაც ამაში უფრო ვარჯიშობენ, მოძრაობას კი გადაეჩვენებოდნენ, რადგანაც ამაში არ ვარჯიშობენ; დანარჩენი ნაწილები კი, რომლებიც გალიზიანების გატარებას ნაკლებათ უწყობენ ხელს, მხოლოდ მოძრაობის თვისებას განვიითარებენ, რადგანაც ამათი უმთავრესი ვარჯიშობა მოძრაობა იქნება. აი დასაბამი ერთი მხრით ნერვებისა, მეორე მხრით კუთებისა. რამოდენიმე ხნის შემდეგ პროტოპლაზმის ერთი ნაწილი მხოლოდ გალიზიანებას გაატარებს, მეორე მხოლოდთ ამოძრავდება და თანდათან განვითარება პირველს გადააქცევს ნერვებათ, მეორეს კი კუთებათ. დავგვიჩა აუხსნელი ერთი გარემოება. ადამიანში ნერვის გალიზიანებას თან მოსდევს კუთების ამოძრავება. თუ პირველი არ იქნა, არც მეორე იქნება; ხოლო უმაღლესათუთ პირველი უნდა იყოს. ამიტომ ჯერ უნდა ვიკითხოთ, თუ რათ უსწრებს პირველი მეორეს და მეორე ის, თუ რამ შეაკავშირებს ერთმანეთში ისე, რომ პირველის გალიზიანება მეორის ამოძრავებას იწვევს. პირველი კითხვა ადვილი ასახსნელია; ნერვები განვითარების უმდაბლეს საფეხურზე წარმოადგენენ იმ გზას, საითაც გალიზიანება უფრო ადვილათ ვრცელდება, ვიდრე პროტოპლაზმის დანარჩენ ნაწილებში. როდესაც გალიზიანება ამ ადვილ გზას უკვე გაივლის, დანარჩენ ნაწილებში ჯერ სრულათ არ იქნება გავრცელებული; გალიზიანების საესებით გავრცელებლათ მოძრაობაც არ მოხდება; ამიტომ გალიზიანების გავრცელება იმ მიმართულებებზე, რომლებიც მომავალ ნერვებს შეადგენენ, ყოველთვის წაუსწრებს იმ ნაწილების ამოძრავებას, რომლებიც მომავალ კუთებს წარმოადგენენ. ეს თვისება ფუნქციის დაყოფასთან ერთათ განვითარდება და ნერვის გალიზიანება ყოველთვის წინამორბედი იქნება კუთის ამოძრავებისა. რადგანაც ამ ორ ფუნქციას თავდაპირველათ ერთი და იგივე მიზეზი იწვევდა, ხოლო პირველი ფუნქცია უფრო ადრე ხდებოდა, ვიდრე მეორე, მომავალი ნერვი უფრო მგრძობიარე იყო, ვიდრე კუთი, ამიტომ განვითარება და შეუწყვეტლათ ერთათ გამეორება უსათუოთ დააკავშირებდა ამ ორ ფუნქციას ისე, რომ თუ პირველი დაიბადებოდა, მეორეც თან უნდა მოყოლოდა. ვარჯიშობამ ნერვში განვითარება ერთი ფუნქცია, გალიზიანების გადაცემა, კუთში კი მეორე—ამოძრავება. ადამიანში ნერვები შეადგენენ განსაზღვრულ სისტემას, კუთები განსაზღვრულს, მაგრამ განვითარების დაბალ საფეხურზე ეს ასე არ იქნებოდა. არიან ისეთი ცხოველები coelenterata-თა ჯგუფებიდან, რომლებსაც კუთებიცა აქვთ, ნერვებიც, მაგრამ კუთებიც უსისტემოთ არიან გაფანტული მთელ ტანში, ნერვებიც.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო ერთი და იმავე დასაწყისიდან ნერვები და კუთები.

ნერვების განვითარების დაბალ საფეხურზე ნერვი პირდაპირ უერთდება კუთს; ასეთი არიან ბევრი მედუზები, მაგრამ ასეთი ნერვების მოძრაობა მხოლოდ მარტივია და ერთფეროვანი. როდესაც ნერვები თანდათან რთულდებიან და გარეშე პირობებშიც თანდათან რთულ მოძრაობას ითხოვენ ცხოველისაგან, მაშინ საჭირო ხდება ისეთი აპპარატი, რომელიც აერთიანებს მრავალ მარტივათ მოქმედ ნერვებს და შესაძლებლობათ ხდის რთულ მოძრაობას. ასეთ აპპარატს წარმოადგენენ ნერვის უჯრედები. თავის თავთ ცხადია, რომ ეს უჯრედები ნერვის ნაწილებს და განვითარდენ. წარმოადგინეთ მედუზა, რომელსაც მარტივ ნერვები აქვს და მარტივი და ერთფეროვანი მოძრაობა შეუძლია მხოლოდ. ცხოველების პირობებში მის მოთხოვნას რთულ და მრავალგვარი მოძრაობა. ასეთი მოთხოვნები უმეტესად წინანდელზე მეტ ვარჯიშობას გამოიწვევს, რასაც ის შედეგად მოყვება, რომ ერთი ან რამოდენიმე ნერვი, ან ნერვის მხოლოდ რომელიმე ნაწილი დაუწინაურდება დანარჩენებს და მათზე უფრო ძლიერათ გადაცემს გალიზიანებას კუთებს. ვარჯიშობა თანდათან განვითარებს ამ თვისებას ნერვში ან მის ნაწილში, დანარჩენებს კი მისუსტებს, ნერვი თანდათან მიეწვევა მიღებული გალიზიანების გაძლიერებას და სწვ გადაცემას, — აქედან კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია ნერვის უჯრედამდე. ნერვული უჯრედის გაჩენამდე ნერვი პირდაპირ კუთს გადაცემდა ხოლმე მიღებულ გალიზიანებას. როდესაც ნერვის რომელიმე ალავას უჯრედი ჩდება, მაშინ ის ნერვი, რომელიც უჯრედს უერთდება, მხოლოდ ამ უჯრედს გადაცემს გალიზიანებას; იმ ნერვს კი, რომელიც უჯრედიდან კუთისაკენ მიდის, მხოლოდ კუთთან მოაქვს უჯრედიდან გალიზიანება. პირველი ამგვარათ გადიქცევა გრძობის ნერვათ, მეორე მოძრაობის ნერვათ.

ამგვარათ თანდათანობითმა განვითარებამ ჩვენ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, როდესაც პროტოპლაზმა იყოფა ერთი მხრით კუთებათ, მეორე მხრით ნერვებათ და ნერვების უჯრედებათ. არიან თუ არა ბუნებაში ასეთი ცხოველები? ბევრი. ამათ შორის მაგალითისათვის დავასახელებ მედუზას. მედუზას აქვს ნერვები, ნერვები უერთდებიან ერთ უჯრედს, ამ უჯრედიდან კი ნერვები იფანტებიან მედუზის კუთებში. წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი მედუზა შეიჯახა რომელიმე დიდ ცხოველს; ეს შეხებით გალიზიანება გრძობის ნერვის შემწეობით გადაეცემა უჯრედს, უჯრედი გადაცემს მას ნერვების შემწეობით კუთებს, კუთები ამოძრავდებიან და მედუზაც დაშორდება შემოხსენებულ ცხოველს. ოველ დროს და ყოველ შემთხვევაში მედუზას მოძრაობა ერთი და იგივეა, მუდამ ერთგვარია; ამ მოძრაობის გადაქმნა, შეცვლა მედუზას ვერ შეუძლია. ასეთ მოძრაობას ეწოდება რეფლექსი. რეფლექსები მედუზიდან მოკიდებული ყველა დანარჩენ ცხოველებსა აქვთ ადამიანამდე უბრალო მაგალითიდან დაწმუნდება მკითხველი; თუ რამდენი ნაკლები ვიხილავთ აქვს რეფლექსს; მისი შემწეობით მართალია, ცხოველს შეუძლია, ზოგიერთ ხიფათს აცდეს, ზოგიერთ სარგებლობას მიადწიოს, მაგრამ რეფლექსი არსებობისათვის ბრძოლაში იმდენათ სუსტი იარაღია, რომ მისი პატრონი მუდამ განსაცდელშია. ადამიანს აქვს ბევრი რეფლექსი და ამათ შორის მუხლის რეფლექსიც. ერთი ფეხი რომ მეორეზე შემოიდგა და მუხლი მოიშვათ, შემდეგ მუხლის ძვლის ცოტა ქვეით ჩაღრმავებულში თითი ან პატარა ჩაქუჩი დაგკრათ ვინმემ, დაინახეთ, რომ თითის ყოველ დაკრახზე თქვენი კანკი ისე გაინძრევა, რომ ევრტიკალური მდგომარეობიდან მკირე ხანს მრუდე მიმართულებას მიიღებს. ეს არის უბრალო რეფლექსი; მიზეზი ის არის, რომ მუხლის კანში არიან ნერვები, რომლებიც გალიზიანდენ თითის ცემით და ეს გალიზიანება გადაცემს ხერხემლის ტვინში უჯრედებს, რომლებიც



ბმაც თავის შრივ ალიზინეს კანქის მოძრაობის ნერვები, ამათ კი კანქის კუთები აამოძრავეს. ახლა დააჭერიეთ ვისმე ნემსი ზქვენი ფეხის თითებთან იმ სიშორეზე, რომ რეფლექსის დროს ნემსი ცოტა გეჩხვლიტოთ; თქვენ დარწმუნდებით, რომ თი-  
 თის ყოველ დაკრახზე რეფლექსი ყოველთვის გამეორდება; მი-  
 ჭხედავბთ იმისა, რომ თქვენ ამის წყალობით ნემსი გეჩხვლი-  
 ტებათ და ამგვარათ რეფლექსს ზარალის მეტი არაფერი მო-  
 აქვს თქვენთვის. რეფლექსის ნაკლიც სწორეთ ამაში მდგომარე-  
 ცობს; რაკი ერთხელვე დაიბადა ის, რაკ უნდა შეიცვალოს მის გარშემო პირობები, რეფლექსი მაინც ერთნაირათ მოქმე-  
 დებს; მას შეცვლა არ შეუძლია. ამიტომ არსებობისათვის ზრდილამ ნელანელა განავითარა რეფლექსი და გადააქცია ის ავტომატიურ მოძრაობათ. ავტომატიური მოძრაობა იგივე რე-  
 ფლექსია მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ავტომატიურ მო-  
 ძრაობას სპირობების დროს შეუძლია შეცვლა; მაშინ როდეს-  
 საც რეფლექსი ასეთ თვისებას მოკლებულია. მაგალითათ, ბა-  
 ყაყს რომ სრულდებოთ ამოქრათ თავის ტვინი და მარტო მხე-  
 დველობის ბორცვები დაუტოვოთ, მის მოქმედებაში აზრიან-  
 ნობის ნატამალიც აღარ დარჩება. ასეთ ბაყაყს რომ ნემსი უჩ-  
 ხვლიტოთ; გადახტება, ან გაცოცდება,—ეს არის რეფლექსი. მას რომ წინ ფაცარი აუყულოთ, ის აღარ გადახტება წინ ისე,  
 რომ ფიცარს დეჯახოს, არამედ განზე ისე გახტება, რომ ფი-  
 ცარს აცდეს,—აი ეს არის ავტომატიური მოძრაობა. ამგვარათ  
 ავტომატიური მოძრაობა გაუმჯობესებული რეფლექსია; ამ  
 შემთხვევაში ბაყაყს ასეთი თითქმის აზრიანი მოძრაობა რომ  
 გონიერების გავლენას მივაწეროთ, შეუძლებელია, რადგანაც  
 ბაყაყს თავის ტვინი ამოქრილი ქონდა. მასში მოქმედებენ მხო-  
 ლოთ ავტომატიური ცენტრები, რომლებიც ბაყაყს მხედვე-  
 ლობის ბორცვებში აქვს. ფიცრის დანახვამ ალიზინა თვალის  
 ნერვები, ამათ ალიზინება გადაცეს ავტომატიურ ცენტრებს,  
 მათ აამოძრავეს ნერვების შემწეობით კუთები და ამგვარათ  
 წამოიღვა ავტომატიური მოძრაობა.

თუ ამდენი ხანი ვილაპარაკე ნერვების განვითარებაზე და  
 რეფლექტორული და ავტომატიური მოძრაობის შესახებ, იმი-  
 ტომ რომ ყოველგვარ ჩვენ საზრიან მოძრაობას ანუ მოქმე-  
 დებს და აზროვნებას რეფლექსიას და ავტომატიური მოძრაო-  
 ბის თვისება აქვთ, ესენი კი ნერვების ნაყოფი არიან. აქედან  
 ის დასკვნა არ გამოდის, ვითომ ჩვენი აზროვნება და მოქმე-  
 დება მხოლოთ უაზრო რეფლექსები იყონ, არა—ისინი წარ-  
 მოდგენ რეფლექსისა და ავტომატიური მოძრაობიდან თანდა-  
 თანი განვითარებას წყალობით და ასეთი მემკვიდრეობის ნი-  
 შნება ყოველთვის შეგვიძლია ვიპოვოთ, როგორც ყოველგვარ  
 განყენებულ აზროვნებაში, ისე ყოველგვარ რთულ მოქმედე-  
 ბაში. გრძნობელობა წარმოადგენს შემდეგ საფეხურს რეფლექ-  
 სისა და ავტომატიური მოძრაობის განვითარებისას. როგორც  
 ადამიანის ისე ყველა ხერხემლიანი ცხოველის თავის ტვინი  
 განიყოფება ორ ნაწილათ: ერთია რუხი ფერის, მეორე თე-  
 თრის. თეთრი ნაწილი წარმოადგენს ნერვებს, რუხი ნაწილი  
 კი უჯრედებს. თავის ტვინში რუხი ნაწილი არის ორ ალა-  
 გას,—ერთია ტვინის გარშემო, ეს წარმოადგენს ქერქს თავის  
 ტვინისას, მეორე არის გაბნეული თეთრი ნაწილის სხვადა-  
 სხვა ალაგას: მხედველობის ბორცვები, ოთხი ბორცვი,  
 პატარა ტვინის რუხი ნაწილი და სხვ. როგორც  
 თავის ტვინის ქერქი, ისე ამ უჯრედების სხვა და  
 სხვა გროვას თეთრ ტვინში სხვა და სხვა დანიშნულება აქვთ.  
 გრძნობელობა არის ფუნქცია ერთის, წარმოადგენა მეორის,  
 იდეათ ასოციაცია მესამის და სხვ. ბევრგვარი ცდა და და-  
 კვირება ამტკიცებს, რომ რეფლექტორული მოძრაობის ორ-  
 განო არის ხერხემლის ტვინი, ავტომატიური მოძრაობისა კი  
 მხედველობის ბორცვები და ოთხი ბორცვი; გრძნობელობა,

წარმოადგენა და იდეათი ასოციაცია კი თავის ტვინის ქერქ-  
 ში ისახებოან. მაგალითათ ძალღს რომ ამოაცალკოთ თავის  
 ტვინის ქერქი კეფის დასწვრივ, ძალღი კარგავს მხედველობ-  
 ბით წარმოადგენას: ის მიჩერებოა პატრონს, მაგრამ მას ვეღარ  
 ცნობს, უცხო კაცმა რომ ჯოხით შეუტოოს, არ გაიქცევი  
 განზე; იგივე ემართებათ ტრედს, ქათამს და სხვ: ასეთი ოპე-  
 რაციის შემდეგ, ძალღი ხედავს გარეშე საგნებს, მაგრამ ხე-  
 დავს უაზროთ, თუ შეიძლება ისე ითქვას: გრძნობელობა მა-  
 სში ვეღარ იწვევს იმ წარმოდგენებს, რომლებსაც წინეთ იწ-  
 ვევდა; წინეთ ის თუ პატრონს დაინახავდა, მიუხლოვდებო-  
 და, მიელაქუტებოდა, ახლა კი პას აღარ შერება; წინეთ თუ  
 ჯოხით შეუტევდა უცხო პირი, გარბოდა, ყფედ, ახლა კი ხმას  
 აღარ იღებს. არის ერთგვარი სულის ავთამყოფობა, რომე-  
 ლსაც ვწოდებო „სუღიერი სიბრძავე“. ავთამყოფი გარდა ერ-  
 თი ნაკლისა სრულდებით საღ ადამიანს წარმოადგენს. ეს წაყ-  
 ლი კი აი რაში მდგომარეობს: ავთამყოფი ხედავს გარეშე  
 საგნებს, მაგრამ ეს საგნები მის გონებაში არა ვითარ წარ-  
 მოდგენას არ ტოვებენ. და არც ძველს აღვიძებენ. ასეთი ალა-  
 მიანი მარტო მხედველობის წყალობით გარეშე საგნებს ვე-  
 რა ცნობს, მან უსათუოთ შეხებას უნდა მიმართოს, რომ იც-  
 ნოს ისინი. ნასადიღევს რომ კოთხოთ, სადიღი ქამე თუ  
 არაო, მას აღარ ახსოვს; ერთხელ ნახვის შემდეგ, ხუთი წამის  
 შემდეგ რომ ისევე ნახოთ, აღარ ახსოვს გნახათ თუ არა  
 ამ ხუთი წამის წინ; ხშირათ მისი გონებიდან სრულდებით იკარ-  
 გება მთელი მისი წარსული წარმოდგენანი და ის მარტო აწ-  
 მყოფი ცხოვრობს. ეს ავთამყოფობა დაკავშირებულია თავის  
 ტვინის ქერქის ერთი ნაწილის დასნეულებასთან.

როდესაც პირველათ ვხედავთ ისეთ საგანს, რომლის სა-  
 ხელიც ჩვენ არ ვიცით, და ამ საგნის სახელს გვაგებებენ, მა-  
 შინ ჩვენ ერთათ ვიღებთ ორ გრძნობელობას-მხედველობითსა  
 და სმენელობითს და ორ წარმოდგენას-მხედველობითს, რა-  
 დგანაც-ჩვენ გონებაში რჩება ამ საგნის სახელი ანუ სმენე-  
 ლობითი სახე. სმენელობითი წარმოდგენაში რჩებიან თავის  
 ტვინის ქერქის იმ ალაგას, რომელიც ყურის დასწვრივ არის.  
 ამ ალაგის დასნეულება იწვევს ერთქვარ სულიერ ავთამყო-  
 ფობას, რომელსაც სულიერი სიყრუე ეწოდება: ავთამყოფს  
 ესმის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა მან წინეთ კარგათ  
 იცოდა და რომლებიც მის გონებაში იწვევდენ წინეთ შესა-  
 ფერი საგნის ან განყენებული მცნების წარმოდგენას, ახლა  
 კი ეს სიტყვები მისთვის მხოლოთ უაზრო ძველას, მათი მნიშ-  
 ვნელობა მისთვის გაუგებარია, ამგვარათ ფსიხიატრიამ ორი  
 ფრიათ საყურადღებო მაგალითი მოგვცა: თუ ადამიანს ტვი-  
 ნის ქერქის ერთი ნაწილი დაუნეულდა, ის კარგავს მხედვე-  
 ლობით წარმოდგენას, თუ მეორე ალაგი, კარგავს სმენელო-  
 ბით წარმოდგენას. აქედან აშკარაა ყველასათვის, რომ ტვინის  
 ქერქში არიან ისეთი უჯრედები, სადაც გრძნობელობა ტოვებს  
 შესაფერ წარმოდგენას, მაშასადამე ჩვენი აზროვნების ორგანო  
 მხოლოთ თავის ტვინის ქერქია. რაღა მნიშვნელობა აქვს  
 თავის ტვინის თეთრ ნაწილს, რომელიც ნერვის ძაფებისაგან  
 შედგება? ეს ნერვის ძაფები უერთებენ ერთი, მხრით თავის  
 ტვინის რუხი ნაწილის ყველა უჯრედებს ერთმანეთს, მეორე  
 მხრით თავის ტვინს უერთებენ მთელი ტანის დანარჩენ ნაწი-  
 ლებს. თავის ტვინის უჯრედები ისე რთულათ და მრავალ-  
 გვარათ არიან ერთმანერთთან შეკავშირებული ნერვის ძაფებით,  
 რომ ერთ უჯრედში მომხლარ გალიზინებას შეუძლია ყველა  
 დანარჩენ უჯრედებს გადაეცეს.

როდესაც ჩვენ წარმოვიდგენთ ხოლმე რაიმე ნაცნობ სა-  
 განს, ამ საგნის სახესთან ერთათ ჩვენ გონებაში იღვიძებს მისი  
 სახელიც. აგრეთვე ჩვენ არ შეგვიძლია აღვიღინოთ გონება-  
 ში ჩვენი ნაცნობის ან ნათესავის სახე ისე, რომ ამავე დროს



მისი სახელიც არ გაგვახსენდეს: როდესაც ჩვენ გვაგონდება ან გვესმის ნაცნობი საგნის სახელი, სახელთან ერთად ამ საგნის სახეც ილექებებს ჩვენს გონებაში. მაგრამ რადგანაც გარეგანი სახის აღდგენა ნაყოფია მხედველობითი წარმოდგენის, სახელისა კი სმენელობითი წარმოდგენის, ეს ორი სხვა და სხვა გვარი წარმოდგენანი კი ტყინის სხვა და სხვა უჯრედებში ინახებიან, აქედან ცხადია, რომ ამ უჯრედებს შორის კავშირი უნდა იყოს ნერვების სახით, თორემ უამისოთ სრულებით გაუგებარია, რათ იწვევს მხედველობითი წარმოდგენა სმენელობითს და სმენელობითი მხედველობითს? ამ კავშირის არსებობა უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია და ეს ნათელსა ფენს როგორც ჩვენ აზროვნებას, ისე ჩვენ მოქმედებას. ჩვენ ფსიხიურ ცხოვრებას ახასიათებს ერთი მხრით აზროვნება, მეორე მხრით მოქმედება. ამით ჩვენ დავახსიათვით მარტო ძირითადი ფაქტორები ჩვენი ფსიხიური ცხოვრებისა, მათი ერთმანერთთან დამოკიდებულება და ის როლი, რომელიც აქვს თავის ტყინს ამ ძირითადი ფაქტორების წარმოშობაში: დღეს ფსიხოლოგიური კითხვების კვლევა თავის ტყინთან და უკავშირებლათ ქვიშაზე სახლის შენებაა და მეც მისთვის დამჭირდა ისეთი დაკავშირება, რომ უამისოთ ნების კითხვის დამორკვევა შეუძლებელია. თავის ტყინის როლის დამორკვევა ფსიხიურ ცხოვრებაში ეს თავისუფალი ნების „ყოფნა-არყოფნა“-ა. ყოველივე ამის შემდეგ მივმართათ საბოლოო მიზანს ჩვენი წირილის პირველი ნაწილისა: როგორც ზემოთ მოვიხსენიე ნების არსებობა ადამიანმა გამოიყვანა აზროვნებისა და მოქმედების დაკვირვებიდან,—ამიტომ გავესინჯოთ აზროვნება, შემდეგ ადამიანის მოქმედება და გავიგოთ, მოქმედობს აქ ნება თუ ცალიერი აუცილებლობა.

მთელ ჩვენ აზროვნებას სარჩულათ უდევს სხვა და სხვა წარმოდგენანი, რომლებიც ჩვენ მივიღია გარეშე ბუნების ზეგავლენით. წარმოდგენანი, როგორც უკვე დაინახეთ, არიან მკრთალი სახე გარეშე საგნებისა და მოვლენებისა. რამდენიმე წარმოდგენათი შეერთება ბადავს მცნებას ამა თუ იმ საგნის შესახებ, როდესაც ჩვენ წარმოვიდგენთ მაგალითათ ყვაილს, იმის თერს, სილამაზეს, სუნელებას,—ყველა ეს ერთად არის მცნება. მაგრამ ყოველმა მკითხველმა უწყის, რომ ისეთ მცნებებს გარდა, რომლებიც ჩვენ გარეშე არსებულ მატერიალურ საგნებს შევფერებიან, ადამიანის გონებაში არიან ისეთი მცნებები, რომლებიც მატერიალურ საგნებს არ შევფერებიან და მაშასადამე არც არიან ნაყოფი გრძობელობისაგან წარმოდგენისა; მაგალითათ მცნებანი სითეთრე, სიბინძურე, სინდისიერობა და სხვა—ყველა ესენი განყენებულ მცნებებს წარმოადგენს. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის კვლევას, თუ როგორ ჩნდებიან განყენებული მცნებანი, საქმარისა გავიხსენოთ, რომ განყენებული მცნებანი თანდა თანი გაზოგადდებით წარმოსდგენ კონკრეტული მცნებებიდან. ზოგიერთი მცნება, რომელიც წინეთ კონკრეტული იყო, დღეს უკვე განყენებულათ გადაქცეულა, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია სრულებით შეუმცდარათ მივიდოთ აზროვნების სარჩულათ უბრალო წარმოდგენა. ყველამ იცის, რომ გონიერი ადამიანის შემეცნებაში სხვა და სხვა წარმოდგენანი აზრიანათ უერთდებიან ერთმანერთს და არა უაზროთ; მაგალითათ, ვინმემ რომ თავისი მეგობარი დაინახოს, შესაძლებელია წარმოუდგეს ამ დროს ის შემთხვევები, სადაც ამ მეგობარს რაიმე როლი ქონია, მაგრამ ამდროს რომ გაახსენდეს სრულებით შეუფერებელი რამ, რაც არაფრით არ არის დაკავშირებული მეგობრის სახესთან, ყოველათ შეუძლებელია. აი იმ პროცესს, რომელიც ასე აზრიანათ აერთებს ერთმანერთთან ჩვენს სხვა და სხვა წარმოდგენებს, ეწოდება იდეათა ასსოციაცია. ავიდოთ ჯერ მარტივი ასსოციაციის მაგალითი. თქვენ შეხვდით ორ ადა-

მიანს ნაცნობს და უცნობს; პირველს გაუწოდეთ ხელი, მეორეს კი არა. რატომ? იმიტომ რომ პირველი ნაცნობს ხელი, მეორე კი არაო, იტყვიოთ თქვენ. რას ნიშნავს ეს ნაცნობა და უცნობა? პირველი ადამიანი თქვენ წინეთ ბევრჯერ გინახათ, მაშასადამე მის გარეგან სახეს ბევრჯერ გამოუწვევია თქვენში გრძობელობა, რომელიც ნერვების შემწეობით გადაცემია წარმოდგენის უჯრედებს და ამგვარათ თქვენ მიიღეთ გრძობელობა და ამან გამოიწვია თქვენში მისი ძველი წარმოდგენა; ეს წარმოდგენა იმგვარივე აღმოჩნდა, როგორიც ახალი გრძობელობა და აქედან მიხვდით, რომ ეს პირი თქვენი ნაცნობია. ამ მაგალითში ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, თუ ახალმა გრძობელობამ რათ გამოიწვია თქვენში სწორეთ ამ პირის წარმოდგენა და არა სხვისი? ამას გვიხსენის ერთი ფსიხოლოგიური კანონი: თუ ერთსა და იმავე გალიზიანებას ხშირათ გაუგლიათ ერთ ნერვზე, შემდეგ და შემდეგ ამავე გალიზიანებას ეს ნერვი უფრო ადვილათ გაატარებს, ვიდრე სხვა რომელიმე. როგორც თავში მოვიხსენიეთ, თავის ტყინის ყველა უჯრედები მრავალგვარათ არიან ერთმანერთთან შეკავშირებული. როდესაც თქვენი ნაცნობი სულ პირველათ ნახეთ, მისმა დანახვამ აღძრა თქვენში გრძობელობა, ე. ი. გალიზიანა გრძობელობის ერთი უჯრედი ეს უჯრედი ნერვების შემწეობით უერთდება წარმოდგენის მრავალ უჯრედებს. გრძობელობის უჯრედიდან გალიზიანება გადაეცემა წარმოდგენის ერთ რომელიმე უჯრედს, მაგალითათ ბ-ს. როცა მეორეთ დაინახეთ ამ პირს, გრძობელობა შემოხსენებულ კანონით ა-დან უფრო ბ-ს უნდა გადაეცეს, რადგანაც ეს გზა უფრო ადვილია მისთვის, ვიდრე ყველა დანარჩენი. ამის გაგება ადვილია უბრალო მაგალითებიდანაც: ექვსი წლის ბავშს რომ დაასწავლოთ, ორჯერ სამი რამდენიაო, ყოველთვის შეუმცდარ პასუხს მიიღებთ; მაგრამ თუ კი ხვა მოიბრუნეთ და დაეკითხეთ: სამჯერ ორი რამდენიაო, შეუმცდარ პასუხს მიიღებთ, რადგანაც ორჯერ სამი რომ ექვსია, მას რამდენჯერმე გაუმეორებია, მისი რაოდენობა უკვე იცას,—სამჯერ ორი კი მას არც ერთხელ არ გაუმეორებია და ამიტომ მისი რაოდენობა არ იცის, მიუხედავთ იმისა, რომ ეს იგივე პირველი ამიცანაა. ვარჯიშობა რაიმე საქმეში ადვილებს ყოველთვის ამ საქმეს და ეს თვისება ყველაზე უფრო ნერვებშია განვითარებული. ამგვარათ ნაცნობის ყოველ ახალ დანახვაზე გალიზიანება ა-დან ყოველთვის ბ-ს გადაეცემა ნერვის შემწეობით და ყოველთვის ამ ნაცნობის წარმოდგენა აღდგება თქვენ გონებაში. ახლა ვიკითხოთ მეორის, უცნობის დანახვაზე რატომ არ გაუწოდეთ მას ხელი? უცნობის დანახვამ აღძრა თქვენში გრძობელობა, მაგრამ წინეთ ასეთი გრძობელობა თქვენ არ განვიცდიათ, ამიტომ გრძობელობის უჯრედიდან წარმოდგენის რომელ უჯრედსაც უნდა გადაეცეს გალიზიანება გრძობელობის შესაფერ წარმოდგენას ვერცსუვერ გამოიწვევს, რადგანაც ასეთი წარმოდგენა არ არსებობს თქვენ გონებაში. ეს ახალი გრძობელობა რომ გარდაეცემა წარმოდგენის რომელიმე უჯრედს, ეს აშკარაა, ხოლო საკითხი ის არის, საითკენ წავა ეს გრძობელობა. წინეთ ასეთი გრძობელობა თქვენ არ მივიღიათ, ამიტომ პირველი შეხედვით ზემოხსენებულ ფსიხოლოგიურ კანონს აქ ალავი არ უნდა ქონდეს, რადგანაც ამ გრძობელობის გატარებაში არც ერთი თქვენი ტყინის ნერვი არ ვარჯიშობდა და მაშასადამე ყველა ერთნაირათ უნდა იყონ მომზადებული, მაგრამ თუ ჩვეულებრივებით ჩვენ წარმოდგენებს, დავინახეთ, რომ ჩვენ ვერ მივიღებთ ვერც ერთს ისეთ ახალ გრძობელობას, რომ მას რაიმე მზგავსება არა ქონდეს სხვა და სხვა წინეთ მიღებულ გრძობელობასთან. ყოველი ჩვენი გრძობელობა ოთხულია და ამიტომ ორ სხვა და სხვა გრძობელობა შორის ყოველი



თვის მოპოვება რაიმე მზგავსება. ამიტომ ყოველი ახალი გრძობებლობა იმ ნერვებით ვასწევს წარმოდგენისაგან, რომლებითაც წინეთ გაუვლიათ მის მზგავს გრძობებლობათ. ზემოხსენებული ფიზიოლოგიურა კანონიდან ცხადია, რომ სრულიათ ახალ გრძობებლობას ის ნერვი უფრო აღვილათ გაატარებს, რომელსაც წინეთ მისი მზგავსი გრძობებლობანი გაუტარებია ხოლო. ზემოხსენებული მაგალითიც ამას გვიმტკიცებს. თქვენ ხედავთ უცნობ პირს, მაგრამ ის რომ აღამიანია გარეგნობით და არა რაიმე ოთხფეხი, ამაში ექვი არა გაქვთ. რატომ? თქვენ წინეთ გინახავთ ბევრი სხვა და სხვა აღამიანი, რომელთა შთაბეჭდლებაც გონებაში ჩაკრჩინიათ. რადგანაც ახლაც აღამიანს ხედავთ, ეს გრძობებლობა ვასწევს იმ ნერვებით, რომლებსაც მზგავსი გრძობებლობა, ე. ი. აღამიანის სხე, გადაუციათ წარმოდგენისათვის. ამ უცნობი პირის დანახვაზე თქვენდა შეუმჩნეველათ იღვიძებს თქვენ გონებაში თქვენი ნაცნობების წარმოდგენანი, მაგრამ რადგანაც ეს ახალი გრძობებლობა მხოლოდ მზგავსია მათი, ამიტომ თქვენ ამ პირს ვერც ცნობთ და მხოლოდ ხედავთ, რომ ის აღამიანია. ამგვარათ ყოველი გრძობებლობა იწვევს ჩვენში იღვთა, ან მარტივ, ან რთულ ასსოციაციას. ისეთ ასსოციაციას, რომელიც გრძობებლობით არის გამოწვეული, ეწოდება შინაგანი ბსოციაცია. შინაგანი ასსოციაციის წარმოშობა ექვემდებარება ფიზიოლოგიურ კანონს; ის ნაყოფია აუცილებლობის და არა რაიმე ნების; ყოველი შინაგანი ასსოციაცია ჩვენში წარმოებს მხოლოდ ისე, როგორც ფიზიოლოგიური კანონი მოითხოვს და, ნება კიდევ რომ არსებობდეს, მას აქ არავითარი ძალა არ ექნება და მხოლოდ უტახტო მეფეს ემზგავსება; ყოველი გრძობებლობა ნერვების შემწეობით იწვევს ან თავის გვარ ან თავის მზგავს წარმოდგენებს: რა კი აღვიძრის გრძობებლობა, მას აუცილებლათ თან მოყვება წარმოდგენათა აღძვრაც.

(შედეგი იქნება)

ი. გომარული.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ქ.ბ-ხო რედაქტორო! ქ-ნ ნატალია დავითის ასულმა კიკნასემ, ჩემი თხოვნით, შეკრავს ნაწინათ შორის 10 მსკეთი და გადმომცა ზეტერსურგის უნივერსიტეტის სტუდენტ გერასიმე მახარაძეს სასარგებლოთ. აი სია შემოწმრეულთა: ორი მსკეთი-№-მა, თითო მსკეთი ბბ. ანჯაფარისემ, უზნასემ, იასემ ბუნდიანისემ და სხირტლასემ; მსკეთ ნახევარ-ბოლუშორდენისემ; ათ-ათი შაური-მიანსარანცმა, ჯილაკემ, და სარგის ოკანსოვმა და შვიდი შაური-ნინო ჩიქოვანისემ; ხუთ-სკეთი შაური-ქ. მასურასემ და თანამგრძობელმა, სულ 9 მს. და 85 კან., სმი შაური გაგსავანის დასარჯა.

დიდ მადლობას ვწირავ ქ-ნ კიკნასეს და იმ ხართ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვდილი ასეთ კეთილ საქმისათვის. ფული დანიშნულებისებერ გაუკვზავნე ზეტერსურგმა სტუდენტ გერასიმე მახარაძეს.

დ. ქარცივაძე

ქ-ნო რედაქტორო! უმთხრნილესათ გთხოვთ თქვენი კასკეთის „კვალის“ საშუალებით გამოგვავსაზარაკო ბ. კაწია შკელასესთან.

ბ. კაწია შკელასე!

რადგანაც თქვენი ჯინიანობით ზირდათ არავითარ ახვარიშ არ იძლევათ ჩოხატაურის საშუალებულს შესახებ, რომელსაც დემუდვ თქვენ განაკებდით, ამიტომ კასკეთის საშუალებით გთხოვთ მოგვცეთ ახვარიში მხედვთ ამ ერთ შემთხვევაში. რაში დახარჯეთ 48 მსკეთი, რომელიც ჩვენ შემოვწირეთ ჩოხატაურში წარმოდგენის შემოსავლიდან, ან თუ დახარჯული არ არის, სად ინახება ეს ფულები?

თუ თქვენგან ხასუსი არ მივიღეთ ამ თვის დამლეუქში, ჩვენ საშუალოდ უნდა მივმართოთ, და თქვენთან სუ რას უკაცრავთ, ა. ადვოკატო...

- 1) ანტონ კიკნასე
- 2) ივანე კალანდია.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლასა.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

### "ბ გ ა ლ ი"

(წელიწადი მეათე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე

მოგაბაშული ფორმატით.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს

თბილისის კერძო სამკურნალო  
**გ. გელაშანიშვილისა**

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:

დ ა ღ ი თ :

- ვ. ი. ჭიჭინასე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
- მიხეილ გელაშანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.
- ბ. გ. ფედაროვი — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.
- ბ. გ. მადლასევილი — შინაგ. სამშ. და ხურშ. 10—11
- ვ. დ. დამაშიძე — შინაგ. 10—11, სამშაბათს და ხუთ 1—2.
- ნ. ა. მუღანი — ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.
- ი. ბ. ასლასევილი — კბილის სნეულებანი, 10—12.
- ბ. მ. ულიანოვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.
- დ. ა. გელაშანიშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.
- ს. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.
- ს. ა. ვოინო — ქირურგიული, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.
- გ. მ. შამარდანოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდეს 1—2.

ს ა დ ა მ ი თ ა :

- ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.
- ს. გ. მადლასევილი — შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

ბ გ ი რ ა ბ ი თ :

- ბ. გ. მადლასევილი — შინაგან ავათმყოფ., 10—12.
- სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარგებისა 50 კან., ოპერაციები და კრაოტები მოგებით. ერთ კრაოტი ღარიბთათვის უფასოა. (წლ.).